ლელო

№ 11

№ 12
(11 160)

11 – 13 თებერვალი, 1998 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

იაპონიაში, ზამთრის XVIII ოლიმპიურ თამაშებზე მყოფი საქართველოს ოლიმპიური დელეგაცია უდიდესი გულისწყრომით შეხვდა მსოფლიო საინფორმაციო საშუალებების მიერ გადმოცემულ ცნობას საქართველოს პრეზიდენტზე, ბატონ ედუარდ შევარდნაძეზე მორიგი ტერორისტული აქტის მოწყობის შესახებ.

ჩვენ გამოვთქვამთ უკიდურეს აღშფოთებას იმ ძალების მიმართ, რომლებიც ყველაზე ბარბაროსულ მეთოდებსაც არ ერიდებიან, რათა ქვეყანა ააცდინონ დემოკრატიული აღმშენებლობის გზას, რომლის სიმბოლოც ქვეყნის პრეზიდენტია. საქართველოს დელეგაცია პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს უსურვებს ჯანმრთელობასა და სულის სიმხნევეს, რასაც უერთდება ნაგანოში მყოფი მრავალი ქვეყნის სპორტსმენი, მწვრთნელი, ოფიციალური პირი და ამასთან, გამოთქვამენ თავიანთ გულწრფელ გულისტკივილს და აღშფოთებას.

ამასთან ერთად, თანაგრძნობას ვუცხადებთ პრეზიდენტის დაცვის დაღუპული წევრების ოჯახებს და გამოვთქვამთ იმედს, რომ ამ ბოროტი ზრახვის ავტორები და შემსრულებლები გამომზეურებულები იქნებიან და სათანადოდ დაისჯებიან.

საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის სახელით
ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჯანსუღ ბაგრატიონი

• • •

სულით ხორცამდე შეგვძრა ამაზრზენმა ამბავმა, შეიარაღებულმა თავდასხმამ ქვეყნის პრეზიდენტზე, ადამიანზე, რომლის მეოხებითაც დაიწყო ჩვენში სტაბილიზაციის პროცესი დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს ასაშენებლად.

საქართველოს პრეზიდენტი თვით საქართველოს განასახიერებს და ის ბნელი ძალები, რომელმაც სახელმწიფო მეთაურის წინააღმდეგ ტერორისტული აქტი განახორციელა, თავს ესხმოდა ჩვენს ქვეყანას. ისინი ერის გამყიდველები არიან, რომელთაც სურთ დღევანდელობა საშინელი ახლო წარსულისაკენ შეატრიალონ. მაგრამ მათი ყოველგვარი ცდა ფუჭია და არ ძალუძთ ისტორიის სრბოლის შემოტრიალება, რადგან ყველა კარგად ხედავს იმ უზარმაზარ როლს, რომელსაც პრეზიდენტი ასრულებს დემოკრატიის დასამკვიდრებლად ჩვენს ქვეყანაში, რომლის საერთაშორისო ავტორიტეტი და აღიარება დღითიდღე იზრდება.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, გამოხატავს რა სპორტული საზოგადოებრიობის აზრს, მოუწოდებს ყველას, დაირაზმონ საკუთარი პრეზიდენტის გარშემო, რათა, ხელიხელჩაკიდებულებმა ვიაროთ აღმშენებლობის გზაზე.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი

ქართველები საზღვარგარეთ

შოთას კვლავ გააქვს...

მალტის ტურნირში *შოთა არველაძემ* მხოლოდ ლატვიელთა წინააღმდეგ ითამაშა და კვლავ ჰოლანდიას დაუბრუნდა, სადაც ადგილობრივი ჩემპიონატის მეორე წრის პირველ მატჩში მისი „აიაქსი" სტუმრად „ვაალვიკს" შეხვდა. ამსტერდამულმა კლუბმა დამაჯერებელი ანგარიშით 5-1 მოიგო. მეტოქის განადგურებას დასაბამი შოთამ დაუდო, ჰეთ-თრიკი მიქაელ ლაუდრუპმა შეასრულა, ერთი გოლიც ტიჯანი ბაბანგიდამ გაიტანა.

კახიმ დაიწყო

ინგლისის ჩემპიონატის პირველ დივიზიონში მოასპარეზე „მანჩესტერ სიტის" ქართველ ლეგიონერებს გიორგი ქინქლაძეს და მურთაზ შელიას კიდევ ერთი ჩვენებური *კახი ცხადაძე* შეემატა. მან როგორც იქნა, მიიღო სამუშაო ვიზა და ამ დღეებში „ნორვიჩის" წინააღმდეგ გასვლით მატჩში ითამაშა. შეხვედრა ფრედ 0-0 დამთავრდა. ბრიტანულმა პრესამ მაღალი შეფასება მისცა ცხადაძის თამაშს. გაზეთი „სანი": დებიუტანტმა „სიტის" დაცვა შეადუღაბა, ხოლო მეტოქის კართან კუთხურების ჩამოწოდებისას რამდენიმეჯერ სახიფათოდ შეუტია... როცა შელია მალტის ტურნირიდან დაბრუნდება კლარკის გუნდის დაცვა ერთ-ერთი უძლიერესი იქნება დივიზიონში.

ნაგანო
XVIII ზამთრის ოლიმპიური თამაშები

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი თენგიზ გაჩეჩილაძე ნაგანოდან გვატყობინებს:

ჩვენნაირებმა ნაგანოში ოლიმპიურ თამაშებს ფონი უნდა შეუქმნან, სხვები კი მედლებისთვის იბრძოლებენ

ნაგანო ამ საუკუნის ბოლო ზამთრის ოლიმპიადას მასპინძლობს, 2000 წელს კი ასწლეულის უკანასკნელი თამაშები გაიმართება. ახლანდელი თამაშები მრავალმხრივაა საყურადღებო და სარეკორდო მაჩვენებლებით გამოირჩევა. იგი უნიკალურია მონაწილეთა რაოდენობით – 2400 სპორტსმენი იასპარეზებს მსოფლიოს 72 ქვეყნიდან. მათ შორისაა ჩვენი ქვეყანა, რომელიც უკვე მეორედ დაფიქსირდება ზამთრის თამაშების მატიანეში. საქართველოს ამჯერად წარმოადგენენ: სოფიკო ახმეტელი, ზურაბ ჯიჯიშვილი და კახა წაქაძე. ჯერ არაა ცნობილი, გამოვა თუ არა სტარტზე ლევან აბრამიშვილი (იგი ზურაბთან და კახასთან ერთად ლილეჰამერშიც ასპარეზობდა). ლევანი მწვრთნელიცაა და შედარებით ნაკლებს ვარჯიშობს. ზურაბ ჯიჯიშვილს, სამწუხაროდ, სიცხე ჰქონდა და სტარტზე ვერ გამოვიდა. ამავე მიზეზით წინდაწინ ვერ გაიარა ორი სავალდებულო დაშვება, რომელთაგან ერთის ბოლომდე დამთავრება სავალდებულო იყო. ამან საქმე გაართულა და ჩვენი დელეგაციის დიდი მცდელობით, მომდევნო პროგრამაში – კომბინაციაში (სწრაფდაშვება, სლალომი) დაუშვეს.

ანტონ სიხარულიძე – ელენა ბერეჟნაის დუეტი

მოხდა ისე, რომ უამინდობის გამო ორგანიზატორებმა სწრაფდაშვებაზე წინ სლალომის ჩატარება გადაწყვიტეს, მერე კი საერთოდ გადადეს ეს დისციპლინა სხვა დღისთვის, რადგან ამინდი არა და არ გამოკეთდა. ასპარეზობის დაწყების დრო ოთხჯერ გადაავადეს, შემდეგ სპორტსმენები და გულშემატკივრები უკან გაისტუმრეს. წინა დღეს სამთომოთხილამურეები საკონტროლო სტარტზე უნდა გამოსულიყვნენ. ეს შეჯიბრებაც სარეზერვო დღეს გაიმართება, მაგრამ ჯიჯიშვილს უფლება აღარ აქვს დადგეს სტარტზე.

დასანანია, რომ სოფიკო ახმეტელიც შემცირებული პროგრამით – მხოლოდ სლალომში იასპარეზებს. მიზეზი კი ახლად მოშუშებული ტრავმაა, რის გამოც დიდი რისკის გაწევა სახიფათოა. აქვე ვიტყვით: სოფიკო ჩვენი დელეგაციის მედროშე იყო გახსნის აღლუმზე. სიმართლე გითხრათ, საპარადო ფორმა თბილისში რომ ვნახეთ, შევცბით. წარმოიდგინეთ, 400-ლარიანი კომპლექტი რა იქნებოდა, როცა რუსეთელებს (მოსკოვიდან ერთად ვიმგზავრეთ) თითოეული დელეგაციის წევრისათვის 3900-დოლარიანი ჩასაცმელები შეუძენიათ. მაგრამ სირცხვილს გადავრჩით, ფედერაციის პრეზიდენტმა გოგი თოფაძემ დელეგაციას სრულიად განსხვავებული, ძვირადღირებული ფორმა დაახვედრა და ჩვენებმაც წელგამართულებმა ჩაიარეს აღლუმზე. როცა მსოფლიო შემოგცქერის, ყველაფერი მნიშვნელოვანია. ჩვენი არ იყოს, აქ ჩამოსული ქვეყნების ნახევარზე მეტს მედლების მოპოვების არანაირი შანსი არ გააჩნიათ. დიახ, ასეთ თავყრილობაზე ნამდვილად ღირს თავის გამოჩენა, უფრო სწორედ შენი ქვეყნის გამოჩენა, მედლები ამ შემთხვევაში სწორედ რომ „მედლის მეორე მხარეა". რა გაეწყობა, ჩვენთვისაც მანუგეშებლად იქცა კუბერტენის ცნობილი სიტყვები: „მთავარია მონაწილეობა და არა გამარჯვება!" ჩვენც ვმონაწილეობთ. კარგია, რომ გადავრჩით, და, საერთოდ, შინ არ დავჯექით უსახსრობის გამო. არადა, ამის საშიშროება ნამდვილად იყო. მაგრამ ამის განსჯის დრო კიდევ მოვა. ახლა კი...

კომბინაციაში (ორჭიდი) გადადებული შეჯიბრება 10 თებერვალს, უამიდობის მიუხედავად, მაინც ჩატარდა, რადგან მეტჯერ გადავადება აღარ შეიძლებოდა. ჯიჯიშვილი სლალომში 34-ე დადგა სტარტზე, 39 მონაწილიდან ამ დროს ბევრი ფავორიტი გამოეთხოვა პირველობისთვის ბრძოლას. მათ შორის ფინელი, ორი შვედი, დანიელი, ამერიკელი და თვით იაპონელიც კი. ისინი მედლისთვის იბრძოდნენ, სისწრაფით იარეს და გავარდნენ ტრასიდან. ასეთებისთვის გარდა მედლისა, დანარჩენი ადგილისთვის ბრძოლა უაზრობაა. ჯიჯიშვილმა სწორი ტაქტიკა აირჩია, სიჩქარე მოთოკა და ტრასა ოცდამეექვსემ დაამთავრა. მეორე ცდაზე ერთი მონაწილე სტარტზე არ გამოცხადდა, 12 პირველ დაშვებაზე მოიხსნა. ზურაბმა აქაც დინჯად იარა და საბოლოოდ მე-20 ადგილზე გავიდა – ორი სტარტის ჯამში 1:55.26 წ. აჩვენა. გაიმარჯვა ავსტრიელმა მარიო რეიტერმა – 1:31.85, მეორე იყო ნორვეგიელი ლასე კლუსი – 1:33.66, მესამე – პოლონელი ანჯეი ბახლედა – 1:34.49. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ეს ეტაპი, ჩვენიანის გარდა, უკრაინელმა ნიკოლაუ სკრიაბინმა გაიარა – 1:47.17. იგი მე-16 ადგილზეა – 1:47.17. დღეს, 11 თებერვალს კომბინაციის მეორე სტარტია – სწრაფდაშვება.

ოლგა დანილოვა ოლიმპიადის პირველი ჩემპიონია

თბილისის ტრაგედიის ექო

ამ ასპარეზობიდან დაბრუნებულებს ნაგანოში საშინელი ამბავი დაგვხვდა. კოლეგები გაოცებულები გვეკითხებიან თუ რა ხდება ჩვენს ქვეყანაში. ტელევიზია მთელი დღე გადასცემს თბილისში მომხდარი ტერაქტის ამბებს სხვადასხვა არხზე.

სხვა აქაური ამბები

პირველ ყოვლისა, იმის თაობაზე, რომ ზამთარი აქ ნამდვილად არ არის საოლიმპიადო. ან სულ მზეა, ან სულ თოვს და ნისლია. საშეჯიბრო ადგილები გვაქვს მხედველობაში, თორემ, ტოკიოდან მოყოლებული თოვლი არსად გვინახავს. ნაგანოშიც მზიანი, უთოვლო დღეები იყო და მხოლოდ ორშაბათი დილა გათენდა თოვლიანი. ეს თამაშები 10-15 მილიარდი დოლარი ჯდება, ორჯერ მეტი, ვიდრე 1991 წელს ვარაუდობდნენ, როცა ნაგანომ ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება მოიპოვა. ახლა ამას ემატება გადავადებული შეჯიბრებების დამატებითი ხარჯები, ტელეკომპანიების მიმართ უხერხულობა. სხვათა შორის, თამაშების გახსნის ცერემონიალზე თოვლის ნასახი არ იყო, მაგრამ ტელევიზორში ისე აღიქმებოდა საგანგებო საფენი თითქოს ბილიკებზე თოვლი იდო.

ფიგურული ციგურაობა

სპორტული წყვილები, მოკლე პროგრამა

თებერვლის დამდეგს მსოფლიოს საუკეთესო სპორტული წყვილების იერარქიაში საინტერესო სიტუაცია შეიქმნა: რუსეთელთა

იხ. მე-2 გვ.

ნაგანო

XVIII ზამთრის ოლიმპიური თამაშები

(პირველი გვერდიდან)

ერთბაშად სამი დუეტი — ევროპის ჩემპიონები ელენე ბერეჟნაია და ანტონ სიხარულიძე, მსოფლიოს ექს-ჩემპიონები მარინე ელცოვა და ანდრეი ბუშკოვი და ევროპის ექს-ჩემპიონები ოქსანა კაზაკოვა და არტურ დმიტრიევი მოწინავე პოზიციებზე გავიდნენ და ყველას საგრძნობლად გაუსწრეს კლასში.

მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობა იმთავითვე ყალყზე შედგა: ისტორიაში გვხვდება პრეცენდენტები, როდესაც კვარცხლბეკზე ერთი ქვეყნის წყვილები ადიოდნენ, მაგრამ ასეთი რამ თეთრ ოლიმპიადაზე წარმოუდგენელია...

ოქსანა კაზაკოვამ და არტურ დმიტრიევმა ეფექტური სრიალი გამართეს ფილმ „2001-კოსმოსური ოდისეა"-ს მუსიკაზე. ეს წყვილი სამი წელია გამოდის და, ეტყობა, თავისი ფორმის პიკს მიაღწია. ნაგანოში მან დამაჯერებლად შეასრულა ყველა სავალდებულო ელემენტი და ხელთ იგდო ლიდერობა.

აი, აღიარებულ ფავორიტებს ელენა ბერეჟნაიას და ანტონ სიხარულიძეს ცუდი ამბავი დაემართათ: ნახტომის შესრულებისას ვაჟმა თავი ვერ შეიკავა და დაეცა, რამაც წყვილი მოკლე პროგრამაში მესამე ადგილზე დატოვა. მეორე შედეგი კი გერმანულ წყვილს მენდი ვეტცელსა და ინგო შტოიერს აღმოაჩნდა. ეს მით უფრო მოულოდნელია, ვინაიდან ამას წინათ ვარჯიშზე ინგომ მხარი იღრძო და მისი მონაწილეობა ოლიმპიადაზე საეჭვო იყო.

ახლა ყველაფერი ნებისმიერ პროგრამით გამოსვლებში გადაწყდება. ბერეჟნაია-სიხარულიძის დუეტის ცნობილ მწვრთნელს თამარა მოსკვინას იმედი აქვს, რომ მისი შეგირდები თავს გამოიჩენენ და ოქროს მედლებს დაეუფლებიან.

თხილამურები
15 კმ (ქალები)

სტარტამდე ფავორიტად სახელგანთქმულ რუს მოთხილამურეს ელენე ვიალბეს მიიჩნევდნენ, მაგრამ გრიპშეყრილმა მხოლოდ მეორე ათეულში ჩაამთავრა ასპარეზობა.

პირველი შედეგი და ოქროს მედალი (ოლიმპიადის პირველი უმაღლესი ჯილდო!) რუსმა ოლგა დანილოვამ მოიპოვა. საინტერესოა, რომ 27 წლის ქალს, რომელიც მიმდინარე მსოფლიოს თასზე მერვე ადგილზეა, ამ ჯილდომ და შედეგად დიდმა ფულადმა პრემიამ სულზე მიუსწრო: მას ტყუპი ბავშვი ელოდება შინ.

ვერცხლის მედალი ასევე რუსმა მოთხილამურემ ლარისა ლაზუტინამ დაისაკუთრა, ხოლო ბრინჯაოს ნორვეგიელი ანიტა მოენ-გუიდონი დაეუფლა.

სნოუბორდი
სლალომი (ვაჟები)

ზამთრის ოლიმპიადის ახალმა სახეობამ ნაგანოში დიდი სიმპათიაც დაიმსახურა. სნოუბორდის გიგანტური სლალომი კანადელმა როს რებალიატიმ მოიგო. მას მხოლოდ 0,02 წამით ჩამორჩა იტალიელი თომას პრუჯერი. მესამე შედეგი უჩვენა შვეიცარიელმა ული კესტენხოლცმა.

ციგურაობა
5000 მ (ვაჟები)

უნდა ითქვას, რომ ნაგანოს ზამთრის ოლიმპიადაზე პირველი მსოფლიო რეკორდი ციგურაობაში დამყარდა. სამივე პრიზიორმა ძველ რეკორდს აჯობა და ეს რაღაც ნახევარი საათის განმავლობაში მოხდა.

ამ დღეს ჰოლანდიელთა ზეობა იყო — კვარცხლბეკის პირველ-მეორე საფეხურზე ავიდნენ ჯანი რომე (6.22,20) და რინტიე რიიტსმა (6.28,24). ბრინჯაოს მედალს დაეუფლა ბელგიელი ბარტ ფელდკამპი (6.28,31). სხვათა შორის, ეს უკანასკნელი ახლო წარსულში ჰოლანდიის ნაკრების წევრი იყო, მაგრამ კონფლიქტი მოუვიდა გუნდის მწვრთნელებთან. ამიტომ ბელგიის მოქალაქეობა მიიღო. ეს რომ ასე არ მომხდარიყო, სამივე მედალი ჰოლანდიის გუნდის ყულაბაში შევიდოდა!

თხილამურები
30 კმ კლასიკურ სვლით (ვაჟები)

ფავორიტად ყაზახ ვლადიმერ სმირნოვსა და ნორვეგიელ ბიორნ დელის მიიჩნევდნენ, მაგრამ პროგნოზების საპირისპიროდ გამარჯვება ფინელ მიკა მიულიულას დარჩა. აღსანიშნავია, რომ დისტანციის ბოლო მეტრებზე გამარჯვებულმა კბილებით დაიკავა ფინეთის დროშა და ასე გადასერა ფინიშის ხაზი. მეორე შედეგი უჩვენა ნორვეგიელმა ერლინგ იევნემ, მესამე — იტალიელმა სილვიო ფაუნერმა.

ბიატლონი
15 კმ (ქალები)

სტარტის წინ რუსეთის პრესა აჭრელებული იყო ქვეყნის სპორტის მესვეურთა განცხადებებით, რომ ამ დისციპლინაში ოქროს მედლის მოპოვებას ეცდებიან. მაგრამ ასე არ მოხდა, მათი საუკეთესო ბიატლონისტი ალბინა ახატოვა მხოლოდ მეშვიდე იყო. გამარჯვება კი მოულოდნელად წილად ხვდა ბულგარელ ეკატერინა დაფოვსკას. მეორე შედეგი უჩვენა უკრაინელმა ელენა პეტროვამ, ხოლო მესამე — გერმანელმა ურსულა დიზლიმ.

ციგაობა
ერთადგილიანი ციგით

გერმანელმა გეორგ ჰაკლმა 1992 და 1994 წლის ოლიმპიადებში გამარჯვებას კიდევ ერთი ოქროს მედალი დაუმატა — იგი ნაგანოშიც პირველი იყო. წინა დღით ორი ცდის შემდეგ 0,2 წამით დაწინაურებულ გერმანელს მეტოქეები აუხირდნენ ახალი „ადიდასის" ფეხსაცმელი გაცვია, რომელიც დამატებით სისწრაფეს გაძლევს, ამისთანა ჩვენ არ გვაქვს, ამიტომ უნდა დისკვალიფიკაცია მოგცენო. ოლიმპიადის ორგანიზატორებმა საგანგებოდ განიხილეს ჰაკლის ფეხსაცმლის საკითხი და მომჩივანთა პრეტენზიები უსაფუძვლოდ მიიჩნიეს. ჰოდა, ჰაკლმა მეორე დღეს ასევე აუღელვებლად გააგრძელა ასპარეზობა და კვარცხლბეკის პირველ საფეხურზე ავიდა. ვერცხლის მედალს დაეუფლა იტალიელი არმინ ცოგლერი, ბრინჯაოს — გერმანელი იენს მიულერი.

თხილამურები
5 კმ (ქალები)

ლარისა ლაზუტინა ორი დღით ადრე 15 კილომეტრზე რბენაში ვერცხლის მედალს დაეუფლა. ამჯერად კი უფრო მოკლე დისტანციაზე ოქროც მიითვალა. მეორე-მესამე ადგილები შესაბამისად დაიკავეს ჩეხმა კატარინა ნეიმენოვამ და ნორვეგიელმა ბენტე მარტინსენმა.

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ციგაობაში

გეორგ ჰაკლი



ნაგანოს ზამთრის ოლიმპიადის თილისმა ოთხი პატარა ბუა. ეს სიმპათიური ფრინველები პირველი ოლიმპიური ქალაქის მფარველი ქალღმერთ ათენას ამალაში იყვნენ. ისინი იმიტომ არიან ოთხნი, რომ ზამთრის ოლიმპიური თამაშები ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება. სხვათა შორის, თილისმის სახელი „სნოულეცია" – „სნოუ" (თოვლი), „ოულეცი" (ბუ), „ლეცი" (გავაკეთოთ ერთად). თილისმის სახელიდან წარმოიქმნა ბუების სახელებიც – სუკი, ნოკი, ლეკი და ცუკი.

პირველი ოლიმპიური ჩემპიონი სნოუბორდში როს რებალიატი

კალათბურთი ● ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

გუშინ..

დინამო-1 — დინამო-2 95:60

ასკ — კოლხა (სოხუმი) 90:85

აზოტი (რუსთავი) — სტუ

ოლიმპიადის მსოფლიო რეკორდსმენები

ჯანი რომე

ბარტ ფელდკამპი

რინტიე რიიტსმა

ჰოკეი
ქალები

შვედეთი — ფინეთი 0:6, კანადა — იაპონია 13:0, ჩინეთი — აშშ 0:5, ფინეთი — იაპონია 11:1, აშშ - შვედეთი 7:1, კანადა — ჩინეთი 2-0.

ვაჟები

A ჯგუფი. იტალია-ყაზახეთი 3:5, ავსტრია — სლოვაკეთი 2:2, სლოვაკეთი — იტალია 4:3, ავსტრია - ყაზახეთი 5:5. **B ჯგუფი.** გერმანია — იაპონია 3:1, ბელარუსი — საფრანგეთი 4:0, ბელარუსი — გერმანია 8:2, იაპონია — საფრანგეთი 2-5.

ზაზა თურმანიძე: ნაკრებში მოხვედრა ყველას შეუძლია

ამ უსახსრობისა და უძრაობის პერიოდში, როგორშიც ჩვენი სპორტი აღმოჩნდა, ნებისმიერ შეჯიბრებას, მართლაც ოქროს ფასი აქვს, რადგან მათი სიმწირე აკნინებს და უკან სწევს ქვეყნის სპორტს. ამ მხრივ, სხვებთან შედარებით, უკეთეს მდგომარეობაში არიან ჩვენი მოჭიდავეები, რომელთა ფედერაციები ახერხებენ რეგულარულად გამართონ რესპუბლიკური თუ სხვა მასშტაბის შეჯიბრება და მასში მონაწილეობა ყველასათვის დიდი პატივია, რადგან სარბიელზე საუკეთესო ძალები იყრის თავს, მით უმეტეს თუ იგი რესპუბლიკური მასშტაბისაა.

რაკი იგი ძალთა დათვალიერებას წარმოადგენს გარკვეულწილად სამომავლო ოპტიმიზმის საფუძველსაც უნდა იძლეოდეს. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ნებისმიერი ასპარეზობა ახალ სახელებს წარმოაჩენს, რაც შეჯიბრებისადმი ინტერესს ზრდის. აი ეს ფუნქციაც უნდა ჰქონოდა ალბათ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა წლევანდელ ეროვნულ ჩემპიონატს, რომელმაც უძლიერეს ათლეტებს (დავით პოღოსიანისა და ელდარ კურტანიძის გარდა) მოუყარა თავი დიღმის სპორტულ კომპლექსში.

პირველობას უნდა დაესახელებინა ის მოჭიდავეებიც, რომლებსაც აპრილის ბოლოს სლოვაკეთში, კონტინენტის პირველობაზე ჩვენი ქვეყნის სახელის დაცვა მიენდობოდა.

სამწუხაროდ, საკმაოდ „მეჩხერი" ჩანაწერები გაჩნდა შეჯიბრების შემდეგ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ზაზა თურმანიძის უბის წიგნაკში...

— ჯერჯერობით მჩატე წონის გორელ გიორგი გაგიშვილსა და ქუთაისელ გოჩა კირკიტაძეს „დავადგი თვალი", — გვითხრა მთავარმა მწვრთნელმა — მომეწონა ცნობილი ფალავნის ნოდარ მოდებაძის ორივე ვაჟი — არჩილი და ალექსანდრე, რომლებიც მამის კვალს გაჰყვნენ და ორივე მძიმე წონაში გამოდის, ნაკრებში იქნებიან აგრეთვე პოღოსიანიცა და კურტანიძეც. ისე, ახალგაზრდობას აქვს გუნდში მოხვედრის შანსი, კერძოდ, თუ ისინი თავს გამოიჩენენ მოახლოებულ ორ დიდ საერთაშორისო ტურნირში, ირანსა და თურქეთში რომ გაიმართება...



საქართველოს ჩემპიონატის კვარცხლბეკი: ***54 კგ.*** 1. გიორგი გაგიშვილი, 2. შალვა მუზაშვილი (ორივე — გორი), 3. გოჩა კირკიტაძე (ქუთაისი); ***58 კგ.*** 1. ოთარ თუშიშვილი (გორი), 2. გიორგი ირემაძე (ქუთაისი), 3. გიორგი იანტბელიძე (თბილისი); ***63 კგ.*** 1. კახა დობორჯგინიძე (ქუთაისი), 2. გიორგი შველიძე (ყვარელი), 3. გოდერძი ხარებავა (სოხუმი); ***69 კგ.*** 1. ემზარ ბედინეიშვილი (თბილისი), 2. დავით გაგიშვილი (გორი), 3. ზურაბ სახვაძე (თბილისი); ***76 კგ.*** 1. ალექსანდრე კახნიაშვილი (თბილისი), 2. მიხეილ ხურციძე (ვანი), 3. რეზო მინდორაშვილი (თბილისი); ***85 კგ.*** 1. გოჩა ჩიხრაძე (გორი), 2. ზვიად ბიძიშვილი, 3. ზაზა ნოზაძე (ორივე — თბილისი), ***97 კგ.*** 1. დათო ოთიაშვილი, 2. შოთა ბილანიშვილი, 3. ზაზა გოგიაშვილი (სამივე — თბილისი); ***135 კგ.*** 1. არჩილ მოდებაძე, 2. ალექსანდრე მოდებაძე, 3. ლევან ცაგურია (სამივე — თბილისი).

სურათზე: შეჯიბრების ერთ-ერთი მომენტი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ქართული ბიბლიოთეკა

გამარჯვებამდე ერთი ნაბიჯიღა და

მალტის საერთაშორისო ტურნირი ამ ხმელთაშუაზღვით შემორტყმულ ქვეყანაში 1986 წლიდან ტარდება. მას საფეხბურთო წრეებში როტმანსის ტურნირს უწოდებენ, ვინაიდან სწორედ თამბაქოს მწარმოებელ საქვეყნოდ ცნობილი ფირმა სპონსორობს ამ შეჯიბრებას. თავიდან მალტაში საკლუბო გუნდები ასპარეზობდნენ, შემდგომში კი ისინი ეროვნულმა ნაკრებებმა შეცვალეს. საქართველოს ნაკრები წელს მეორედ მონაწილეობს როტმანსის ტურნირზე. პირველად ჩვენები მალტაში 1994-ში ჩავიდნენ და ოთხთა ტურნირში მეორე ადგილს დასჯერდნენ (წააგეს სლოვენიასთან 0-1, მოუგეს მალტას 1-0 და ტუნისს 2-0).

სტატისტიკოსებს ვაცნობებთ როტმანსის წინა ტურნირების გამარჯვებულებს: 1986 — „კაიზერსლაუტერნი“, 1987 — „შტუტგარტი“, 1988 — გდრ, 1989 — ალჟირი, 1990 — ნორვეგია, 1992 — მალტა, 1994 — სლოვენია,

დღე პირველი

წლევანდელი ტურნირი საქართველოსა და ლატვიის ნაკრებთა მატჩით დაიწყო. თუ ქართველები მინდორზე პრაქტიკულად უძლიერესი შემადგენლობით გამოვიდნენ (მათ ცხადაძე და ქინქლაძე აკლდათ), ბალტიისპირელთა მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა პრაქტიკულად ნაკრების სარეზერვო გუნდი ჩაიყვანა.

საქართველო: ტოგონიძე, შეყილაძე, კალაძე, შელია, ჩიხრაძე, გახოკიძე, ნემსაძე (ციკნაძე), ჯამარაული (სილაგაძე), ქეცბაია (ცქიტიშვილი), ა. არველაძე (ყველაშვილი), შ. არველაძე (იაშვილი).

ლატვია: რ. ლაიზანსი, ზაკრევსკისი, ასტაფიევი (სლესარჩუკასი), ი. ლაიზანსი, ლობანოვი, ბლაგონადეჟდინი, ისაკოვი (პოლიაკოვი), ბლეიდელსი, პახარი, ზეიბელინი, რინკუსი (ლუკაშევიჩი).

როგორც მოსალოდნელი იყო, მატჩი ქართველი.ა უპირატესობით წარიმართა. მეტოქემ მხოლოდ პირველ ტაიმში რამდენჯერმე სახიფათოდ შეუტია ტოგონიძის კარს. თამაშმა ჩვენი გუნდის რამდენიმე ნაკლიც წარმოაჩინა: ძალზე გაჭირდა უპირატესობის გოლებად გარდასახვა, არადამაჯერებლად მოქმედებდნენ მცველები. ორივე გოლის ავტორი კი გოჩა ჯამარაული გახდა, რომელმაც ჯერ 50-ე წუთზე ქეცბაიას მიერ წამოწყებული კომბინაცია ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა, ხოლო მატჩის დამთავრებამდე 18 წუთით ადრე მიიღო რა ნემსაძის კარგი გადაცემა, მეორედ დატოვა მეკარე დაიზანსი სახტად. ქართველებმა, ეტყობა, ჩათვალეს რომ ორბურთიანი უპირატსეობა გამარჯვებისათვის საკმარისი იყო. მათ უკლეს თამაშს, რასაც ლატვიელთა გააქტიურება მოჰყვა. ძოძუაშვილის შეგირდებმა ჯერ პენალტით (საკუთარ საჯარიმოში უხეშად ითამაშა კალაძემ) გაქვითეს ერთი გოლი (ბლეიდელისი), ხოლო ბოლო წუთზე პახარის შორეული დარტყმა ოდნავ ასცდა მიზანს..

შეტევაზეა იაშვილი

საბოლოოდ, ქართველებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2-1.

მალტა-ალბანეთი 1-1

მალტა: მუსკატი, კამილერი, სიქსმიტი, სალიბა, ოვერენდი, ჩეტკუტი (ბრინკატი), ფურნიე (კარაბუ), ტერნერი (გილიო), ნვოკო (აგიუსი), ზაჰრა, სუდა (ბუსეტი).

ალბანეთი: სტრაკოშა, ტოლა (ჰალილი), შულკუ, ფაკაი (მურატი), ვატა (გალო), კოტრი, ლალა, ბუში (ბეიზადე), პეკო (მემო), რაკლი, ტარე.

ამას წინათ ალბანელებმა სტუმრად თურქები გაანადგურეს 4-1, ამიტომ ამ წყვილში სპეციალისტები გამარჯვებას მათ უქადდნენ.

მასპინძლები თავიდან პენალტით დაწინაურდნენ (სუდა), მაგრამ შემდგომში ალბანელებმა ხელთ იპყრეს ინიციატივა და ანგარიში გაათანაბრეს, ისიც პენალტით (შულკუ).

დღე მეორე

საქართველო — ალბანეთი 3-0

საქართველო: გვარამაძე, ჩიხრაძე, შელია, სილაგაძე, კალაძე, შეყილაძე, ჯამარაული (ციკნაძე), ნემსაძე, ქეცბაია, ყველაშვილი, იაშვილი.

ალბანეთი: ბექაი (სტრაკოშა), ვატა, შულკუ, კოტრი, ფაკაში, ბუში (კოლა), ლალა, პეგო (მურატი), ჰალილი, ტარე, რაკლი.

გოლები: ქეცბაია (20), ყველაშვილი (29), იაშვილი (72)

გააფრთხილეს: იაშვილი, შელია.

ჩვენებმა გაცილებით უკეთ ითამაშეს, ვიდრე ლატვიელების წინააღმდეგ. შედარებით „დალაგდა“ დაცვა, სამაგალითოდ ირჯებოდნენ წინა ხაზში ყველაშვილი და იაშვილი, რომლებმაც ჰოლანდიაში გამგზავრებული ტყუპი არველაძეები შეცვალეს. ალბანელებმა წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს ტექნიკურ ქართველ ფეხბურთელებს და დიდი ანგარიშით დამარცხდნენ.

მალტა — ლატვია 2-1

მალტა: მუსკატი, კამილერი (ლაფერდა), ჩემკუტი, კარაბოტი (ნვოკო), სიქსმისი, ზაჰრა (სენ ფურნიე), ბუზუტილი (სულთანა), სალიბა, ტერნერი, ბრინკატი, სუდა (აგიუსი)

ლატვია: რ. ლაიზანსი, ზაკრეშევსკი, ი. ლაიზანსი, ლობანოვი, ბლაგო-ნადეჟდინი, ზეიბერლინში (რინკუსი), ლუკაშევიჩი, პოლიაკოვი (პახარი), სლესარჩუკი, ვოლოწანოვი (ბლეიდელისი), ბურლაკოვი (ვ. ასტაფიევი)

გოლები: 1-0 ბუზუტილი (56), 1-1 პახარი (68), 2-1 ბრინკატი (84).

გააფრთხილეს: კარაბოტი, ბლაგონადეჟდინი

მატჩი იმსაჯა ქართველმა არბიტრმა ოთარ გუნთაძემ.

ბოლო ტურის წინ მალტის საერთაშორისო ტურნირის გათამაშების ცხრილი ასე გამოიყურება:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
საქართველო	2	2	0	0	5-1	6
მალტა	2	1	1	0	3-2	4
ალბანეთი	2	0	1	1	1-4	1
ლატვია	2	0	0	2	2-4	0

წუხელ გვიან საღამოს გაიმართა ბოლო მატჩები: *მალტა-საქართველო, ალბანეთი — ლატვია*

ანატოლი დემიანენკო: კალაძე იტალიელი ვარსკვლავების რისხვაა

კიევის დინამოელთა საფეხბურთო გუნდი ყოველთვის იპყრობდა ქართველ გულშემატკივართა ინტერესს, მით უმეტეს იგი გაიზარდა მას შემდეგ, რაც ამ გუნდს შეუერთდა ჩვენი თანამემამულე, მცველი კახი კალაძე. ისრაელის კურორტ გერცლიაში, სადაც „დინამო“ შეკრებას გადის, იმ მიზნით დავრეკეთ, ჩვენებურს გავსაუბრებოდით. იმედები გაგვიცრუვდა, კახი სასტუმროში არ დაგვხვდა, სამაგიეროდ, შესაძლებლობა მოგვეცა რამდენიმე კითხვით მივმართა გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელისთვის, წარსულში სახელგანთქმულ ფეხბურთელ ანატოლი დემიანენკოსთვის.

● ***ბატონო ანატოლი, გავიგეთ „თანამეგობრობა-98“-ის შემდეგ წარმატებით გამოსულხართ შვეიცარიის მინი-ტურნირში.***

— დიახ, ჟენევაში კიევის „დინამოს“ გარდა ტურნირში მასპინძელთა გუნდი „სერვეტი“, იტალიის „სამპდორია“ და პორტუგალიის „გიმარაეში“ მონაწილეობდა, ჯერ იტალიელები გავანადგურეთ 7-2, შემდეგ კი „გიმარაეშის“ მძლეველ „სერვეტთან“ ფრედ 4-4 ვითამაშეთ. გამარჯვებულის გამოსავლენად დაინიშნა პენალტების სერია, რომელიც უკეთესად გამოვიყენეთ..

● ***ცხადია, ქართველ გულშემატკივრებს აინტერესებთ, ითამაშა თუ არა ამ მატჩებში კახი კალაძემ.***

— ითამაშა და თანაც კარგად „სამპდორიასთან“. მას დავალებული ჰქონდა პერსონალურად აეყვანა სახელგანთქმული ჯუზეპე სინიორი. ის, რომ „ბეპემ“ ერთი გოლის გატანაც ვერ შეძლო, ბევრზე მეტყველებს. მატჩის დამთავრების შემდეგ კალაძეს თანაგუნდელები ეხუმრებოდნენ იტალიელთა ვარსკვლავების რისხვა ხარო, თბილისში ვიერს ფეხი არ გაანძრევინე, იგივე ბედი ახლა სინიორს ეწია, მარტში ვისაც დაავალებენ „იუვეს“ ინძაგის ნეიტრალიზაციას, გულზე შენი სურათი უნდა დავკიდოთო.

● ***გულდასაწყვეტია, რომ კახი ჩემპიონთა ლიგის მატჩებში ვერ დაგეხმარებათ.***

— რასაკვირველია, ეს ჩვენთვის დიდი დანაკლისია. კალაძემ წლევანდელ ევროტურნირში უკვე იასპარეზა თბილისის „დინამოს“ რიგებში, ამიტომ არსებული წესის თანახმად ამ გათამაშებაში იგი კიეველთა გუნდის შემადგენლობაში ველარ გამოვა. ეს არაფერია. იგი მხოლოდ 20 წლისაა და ყველაფერი წინა აქვს. დამიჯერეთ, ამ ბიჭს დიდი მომავალი ექნება. ყოფილი მცველი ვარ და ფეხბურთში რაღაც გამეგება. მისი აღზრდისთვის თბილისის „დინამოს“ მწვრთნელთა მიმართ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. განსაკუთრებით ძლიერია კალაძე პერსონალური მეურვეობისას. ცოტა ზონურ თამაშში წაიკოჭლებს.

● ***ისრაელს როდის ჩახვედით?***

— გუშინ, 8 თებერვალს საღამოს უკვე გერცლიაში ვიყავით. ორი შემადგენლობა ჩამოვიყვანეთ. ჩვენთან ერთად აქ, შეკრებაზე მოსკოვის ცსკა იმყოფება. პაველ სადირინს უკვე მოველაპარაკეთ ორი სოკონტროლო მატჩის გამართვის თაობაზე.

● ***როგორც გავიგეთ, მანდვე მოსკოვის „სპარტაკიც“ გადის შეკრებას. მას არ ეთამაშებით?***

— „სპარტაკთან“ ცოტა სპეციფიკური დამოკიდებულება გვაქვს... სამაგიეროდ, დაგეგმილია მატჩი რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან.

ჰო, მართლა, წუხელის ისრაელის ტელევიზიით მალტის საერთაშორისო ტურნირის ცენტრალური მატჩი საქართველო-ალბანეთის მეორე ტაიმის ვიდეო ჩანაწერი გადმოსცეს. თქვენებმა ყველა რგოლში დაჯაბნეს ალბანელები, ეგაა, კალაძის თამაშით უკმაყოფილო ვარ, ვფიქრობ, არც ჩვეულ პოზიციაზე ათამაშეს...

● ***კიევში როდის დაბრუნდებით?***

— 28 თებერვალს, ალბათ. ცოტას დავისვენებთ და „იუვენტუსის“ წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური მატჩებისთვის მოვემზადებით. ვიცი, მკითხავთ, რა შანსები გვაქვს. საერთოდ, პროგნოზების მოყვარული არ გახლავართ, მაგრამ მეტოქეთა შესაძლებლობებს 50-50-ზე შევაფასებდი: ჩვენს მხარეზეა ჟინი, შემართება. ფიზიკური ძალა და... ლობანოვსკის გამჭრიახობა. „ბებერი სინიორას“ მხარეზე — უმდიდრესი გამოცდილება, მსოფლიოს საუკეთესო ეროვნულ ჩემპიონატებში ნაწრთობი პროფესიონალები.

● ***წარმატებას გისურვებთ.***

— დიდი მადლობა. გთხოვთ დიდი მოკითხვა გადასცეთ თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელებს, პირველ რიგში, ჩემს მეგობარს დავით ყიფიანს, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ გვანერვიულა „თანამეგობრობა“-98“-ზე. მჯერა, თბილისში შესწევთ უნარი შექმნან ძლიერი გუნდი, ოღონდ ამისათვის მთელი ქვეყნის თანადგომაა საჭირო.

ესაუბრა
ჯემალ ჭიპაშვილი

საფრანგეთზე ფიქრით – დარჩა 120 დღე

A ჯგუფი

ბრაზილია: რონალდო უხეშობას ებრძვის

1997 წლის მსოფლიოს რჩეულმა მოთამაშემ რონალდომ შეშფოთება გამოთქვა იმ ვანდალიზმის გამო, როგორიც უკანასკნელ დღეებში მოხდა – ერთდროულად სამ ვარსკვლავს მძიმე ტრავმა მიაყენეს. ბრაზილიელ ჟუნინიოს, იტალიელ ჩირო ფერარას მოტეხეს ფეხი, ხოლო გერმანელ იურგენ კლინსმანს – ყბა. „მატჩში მცველები ისეთ ილეთებს იყენებენ, რომ ტრავმები გარდუვალია. თუ გუნდი სუსტია, მან თავისი თამაშის „გაუმჯობესებაზე უნდა იფიქროს და არა მეტოქეთა „ჩეხვაზე“. იტალიაში გაცილებით ძნელია თამაში, ვიდრე ესპანეთსა და ჰოლანდიაში. მინდა, რომ რაღაც ზომები მიიღონ უხეშობის წინააღმდეგ“ – თქვა რონალდომ.

E ჯგუფი

ჰოლანდია: კლუივერტი კვლავ გადარჩა

პატრიკ კლუივერტის წინააღმდეგ ამჯერადაც არ იქნება წამოყენებული ბრალდება გაუპატიურებაზე. ამსტერდამის სააპელაციო სასამართლომ განიხილა რა 20 წლის ქალიშვილის მარიელ ბოონის სარჩელი, კვლავ უდანაშაულოდ მიიჩნია კლუივერტი.

გუუს ჰიდინკმა, ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, შვებით ამოისუნთქა – ახლა, პატრიკს გზა ეხსნება საფრანგეთისკენო.

„გერმანული მანქანა“ საფრანგეთისთვის ემზადება

მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, ავტომატიზმამდე დასული თამაშის მანერის გამო გერმანიის საფეხბურთო ნაკრებს მანქანას ადარებენ ხოლმე. ბერტი ფოგტსი, რომელიც გუნდს უდგას სათავეში, თადარიგიანი კაცია, ამიტომ მან საფრანგეთ ა'ს მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე 120 დღით ადრე გამოაცხადა თავისი გუნდის 40 კანდიდატის სია. აღიარებული ოსტატების გვერდით მასში ნაკლებადცნობილი ფეხბურთელებიცაა. ამთავითვე ერთი თავისებურება გეცემათ თვალში: სიაში მხოლოდ თითო-ოროლა ლეგიონერია, რაც ბუნდესლიგის ჩემპიონატის მაღალ დონეზე მოწმობს.

FRANCE 98
COUPE DU MONDE

მეკარეები: ოლივერ კანი („ბაიერნი“), შტეფან კლოსი („დორტმუნდი“), ანდრეას კეპკე („ოლიმპიკი“), იენს ლემანი („შალკე-04“).

მცველები: მარკუს ბაბელი და თომას ჰელმერი (ორივე – „ბაიერნი“), იურგენ კოლერი და შტეფან როიტერი (ორივე – „დორტმუნდი“), თომას ლინკე და ოლაფ ტონი (ორივე – „შალკე-04“), მარკო რემერი („ჰანზა“), იენს ნოვოტნი, კრისტიან ვორნსი და კარსტენ რამელოვი („ყველა – „ბაიერი“), თომას შნაიდერი („შტუტგარტი“).

ნახევარმცველები: იორგ ალბერტსი („რეინჯერსი“), მარიო ბასლერი, დიტმარ ჰამანი, კრისტიან ნერლინგერი, მეჰმედ შოლი, თომას შტრუნცი, მიქაელ ტარნატი (ყველა – „ბაიერნი“), მარკო ბოდე, დიტარ აილტსი (ორივე – „ვერდერი“), შტეფან ფროინდი, იორგ ჰაინრიხი, ანდრეას მიოლერი, ლარს რიკენი (ყველა – „დორტმუნდი“), თომას ჰესლერი („კარლსრუე“), იენს იერემისი („მიუნხენ-1860“), სვენ კმტეჩი („ჰამბურგი“), დარიუშ ვოში („ბოხუმი“), კრისტიან ციგე („მილანი“).

თავდამსხმელები: ოლივერ ბირჰოფი („უდინეზე“), ფრედი ბობიჩი („შტუტგარტი“), კარსტენ იანკერი („ბაიერნი“), ულფ კირსტენი („ბაიერი“), იურგენ კლინსმანი („ტოტენჰემი“), შტეფან კუნცი („არმინია“), ოლაფ მარშალი („კაიზერსლაუტერნი“).

ნაკრების კანდიდატთა სიის გამოცხადებისთანავე გერმანული „ბილდის“ რეპორტიორები ბერტი ფოგტს ესტუმრნენ.

● ***ჰერ ბერტი, სიაში იურგენ კლინსმანიც ფიგურირებს, არადა, „ტოტენჰემის“ შემადგენლობაში მან ყბის მძიმე ტრავმა მიიღო და აპრილამდე საფეხბურთო მინდორზე ვერ გამოვა. ღირს კი მისი წაყვანა საფრანგეთში?***

– მიუხედავად იმისა, რომ იურგენი დღეს შორსაა ჩვეული ფორმისაგან და ამას ისიც დაემატა, კარგა ხანს მოუწევს ტრავმის მოშუშება, იგი „ბებერი მგელია“ და საზაფხულოდ მწყობრში იქნება. თუმცა, ჯერ ხომ ყველაფერი არ გარკვეულ ა, კლინსმანს და აგრეთვე სხვა კანდიდატებს ყურადღებით დავაკვირდებით და მხოლოდ ამის შემდეგ საბოლოოდ გადავწყვიტავთ, წავიყვანთ თუ არა საფრანგეთში.

● ***კანდიდატთა შორის არ არის მცველი მათიას ზამერი.***

– იგი დიდი ფეხბურთელია, ნამდვილი პროფესიონალია და თუ ზაფხულამდე ფორმაში ჩადგა, უთუოდ შევიყვანთ ნაკრებში, ისევე როგორც დანდის, რიდლეს. მოკლედ, ნაკრების კარი ყველა ღირსეულისათვის ბოლო წუთამდე იქნება ღია.

● ***ამას წინათ პრესაში დაიბეჭდა ფრანც ბეკენბაუერის პროგნოზები. მისი აზრით, მსოფლიო ჩემპიონების უპირველესი კანდიდატები ინგლისელები, ფრანგები და ბრაზილიელები არიან. ამასთანავე, იგი მეტად სკეპტიკურად უყურებს „გერმანული მანქანის“ შესაძლებლობებს.***

– კაიზერის შეხედულებას არ ვიზიარებ.

ბერტი ფოგტსი ნაკრების წევრებთან საწვრთნელი ვარჯიშის წინ

FRANCE 98
COUPE DU MONDE

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტები

იამაიკა

რას მოიმოქმედებს დებიუტანტი

ფინალისტებს შორის იამაიკელთა გამოჩენა, რა თქმა უნდა, გარკვეული სიურპრიზია. სპორტის მოყვარულები კარგად იცნობენ „იამაიკელ ქურციკს" – მერლინ ოტის, მაგრამ იქაური ფეხბურთელების შესახებ არაფერი სმენიათ. ეს მაშინ, როცა იამაიკის ფეხბურთის ფედერაცია ჯერ კიდევ 1910 წელს დაარსდა. დიდხანს შედიოდა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში და მის კოლონიურ ფილიალად ითვლებოდა, 1962 წელს კი ფიფაში შევიდა როგორც დამოუკიდებელი წევრი. ნაკრებმა დაიწყო აქტიური მონაწილეობა ცენტრალური ამერიკისა და კარიბის აუზის ტურნირებში, მცირე ანტილიის კუნძულების ზონაში. დედაქალაქ კინგსტონში ააშენეს დიდი სტადიონი, რომელიც 40 ათას მაყურებელს იტევს. აქ თამაშობს ამ ორმილიონნახევრიანი სახელმწიფოს ნაკრები. იამაიკაში 270 კლუბია, 50 ათასი ფეხბურთელი, 1966 წლიდან მონაწილეობს მსოფლიო პირველობის შესარჩევ თამაშებში, გვარიანი გამოცდილება შეიძინა 1970, 1978, 1990 და 1994 წლების ჩემპიონატების შესარჩევ ჯგუფებში, ახლა კი პირველად მოახერხა ფინალში გასვლა. ეს 44 წლის ბრაზილიელ სპეციალისტ რენე სიმოესის დიდი დამსახურებაა. მისი სიტყვით, მანამდე, სანამ ნაკრებს სათავეში ჩაუდგებოდა, იამაიკელები ინგლისების მსგავსი მანერით თამაშობდნენ, ახლა კი ცდილობენ ბრაზილიელებს მიბაძონ.

ჩვენ ვწერდით, რომ სამხრეთ ამერიკის შესარჩევ ჯგუფში ნაკრებებს ევროპელებზე გაცილებით მეტის, 16-16 მატჩის გამართვა მოუხდათ. იამაიკელებმა ამაზე მეტიც კი ჩაატარეს, მთელი 20 შეხვედრა. მათ, არც მეტი, არც ნაკლები, მთელი სამი შესარჩევი ჯებირის გადალახვა მოუხდათ, ამასთან, სპეციალისტებმა ყურადღება მიაქციეს მათ გვარიან მომზადებას, ახალგაზრდა ბრაზილიელი მართლაც რომ კარგი მწვრთნელი აღმოჩნდა.

რათა ზონის ნახევარფინალურ ჯგუფში მოხვედრილიყო, იამაიკის ნაკრებს ჯერ სურინამისა და ბარბადოსის გუნდები უნდა დაემარცხებინა. სურინამმა ფეხბურთის სამყაროს ისეთი დიდოსტატები მისცა, როგორიც გულიტი და რაიკაარდია. მაგრამ მათი გუნდი მაინცდამაინც ძლიერი არ აღმოჩნდა – იამაიკელებმა ორჯერ დაამარცხეს ერთნაირი ანგარიშით – 1-0, ბარბადოსელებსაც ორჯერ მოუგეს – 1-0, 2-0 და ამრიგად გავიდნენ კონკაკაფის ზონის ნახევარფინალში.

მომდევნო ეტაპზე უფრო ძნელი ბრძოლა იყო მოსალოდნელი, მით უმეტეს, რომ იამაიკელთა ჯგუფში მოხვდა ამ ზონის უდავო ფავორიტი – მექსიკის ნაკრები. რენე სიმოესი იმედს არ ჰკარგავდა, მით უმეტეს, რომ ზონის ფინალში გადიოდა ორი ნაკრები. აქ კი, მექსიკელების გარდა, იყო კიდევ ერთი მეტოქე – გონდურასის ნაკრები. იამაიკელებმა ეს შეჯიბრებაც ღირსეულად წარმართეს: გონდურასელები შინ დაამარცხეს – 3-0, სტუმრად კი ფრედ – 0-0 ითამაშეს, სენტ-ვინსენტის გუნდს ორჯერ სძლიეს – 2-1 და 5-0, მექსიკელებთან კი, ასე გასინჯეთ, უკეთესადაც კი გამოიყურებოდნენ – 1-2 და 2-0. ამის შემდეგ მათ მეორე ადგილი დაიკავეს და გავიდნენ ფინალურ ჯგუფში. აქ მათსა და მექსიკელებს გარდა თამაშობდნენ აშშ-ს, კოსტა-რიკის და სალვადორის ნაკრებები. ამასთან, ორწრიან ტურნირს სამი ფინალისტი უნდა გამოევლინა. პირობები არც ისე მიუღებელი იყო, აშკარა ფავორიტ მექსიკელების გარდა, თითქოს ყველასთან შეიძლებოდა თამაში. როგორც წინა შეხვედრებმა გვიჩვენა, არც მექსიკელები იყვნენ უძლეველები. მათ სიმოესი იცნობდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ბრაზილიის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად მუშაობდა.


რენე სიმოესი

ახლა ვნახოთ, რა ძალები გააჩნდა რენე სიმოესს, როცა საფრანგეთის საგზურისათვის აპირებდა ბრძოლას. სპრინტერებისა და კრიკეტის მოთამაშეების კუნძულზე ყველაზე პოპულარულ ფეხბურთელად ითვლება ჯონ ბარნსი, რომლის მამა ადრე იამაიკის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტში მუშაობდა. მაგრამ ბარნსი ხომ ყოველთვის, სანამ შეეძლო, ინგლისის ნაკრებში გამოდიოდა და არა იამაიკისა. ისე კი, იამაიკის ახლანდელ გუნდში საკმაოდ არიან უცხოეთში მოთამაშე ლეგიონერები. ცენტრალური მცველი, 26 წლის ფრანკ სინკლეირი, არც მეტი, არც ნაკლები, ლონდონის „ჩელსიში" თამაშობს, სადაც მას თვით რუუდ გულიტი აფასებს. შუა ხაზის მოთამაშეები, 27 წლის მარკუს გეილი და 32 წლის რობი ირლი ლონდონის „უიმბლდონში" გამოდიან, კიდევ ერთი ნახევარმცველი, 27 წლის ფითსროი სიმფსონი – „პოსტსმუტში". 1997 წლის ზაფხულში სიმოესმა მოულოდნელი საჩუქარი მიიღო. იქ დასასვენებლად ჩავიდა კუნძულის მკვიდრი, „დერბი ქაუნთის" თავდამსხმელი, 21 წლის დეონ ბერტონი. მას სთხოვეს კიდეც ეთამაშა იამაიკის ნაკრებში, რახან ამას არაფერი უშლიდა. ბერტონმაც დაიწყო და, შედეგს აღარ იკითხავთ? იგი ნაკრების მთავარი სნაიპერი გახდა. კიდევ ერთი თავდამსხმელი გამოდის ინგლისში, კერძოდ, „პოსტსმუტში" – 28 წლის პოლ ჰოლი. 5 ფეხბურთელი თამაშობს არგენტინაში, ორი – ურუგვაიში. ყოველივე ამან ბრაზილიელ მწვრთნელს დიდი იმედები მისცა და აკი გაუმართლა კიდეც.

მართალია, ექვსთა ტურნირში იამაიკელებს დიდი მღელვარება გადახდათ. მექსიკელები თავიდანვე გაიჭრნენ წინ და ერთი საფინალო ადგილი ფაქტობრივად დაჯავშნეს. ყველაზე მტკივნეული ის იყო, რომ საკუთარ მინდორზე მათ პირდაპირ გაანადგურეს იამაიკელები – 6-0. კანადელები თავიდანვე ჩამორჩნენ, მაგრამ მეორე და მესამე ადგილისათვის დანარჩენი ოთხი გუნდი ბოლომდე იბრძოდა. გადავხედოთ იამაიკელების შედეგებს – აშშ-ს ნაკრებთან ორივე შეხვედრა ფრედ – 0-0, 1-1 დასრულდა. იამაიკელებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეორე შეხვედრას სტუმრად. მათ არავითარ შემთხვევაში არ უნდა წაეგოთ ვაშინგტონის „რობერტ კენედის" სტადიონზე. შეხვედრას 51520 მაყურებელი ესწრებოდა. აი, იამაიკელების შემადგენლობა: უორენ მარეტი (26 წლის, „ვიოლეტ კიკერსი"), იან გედისონი (29, „ოლიმპიკ გარდენსი"), დარენ ბრაუნი (32, „ვადადა"), ლინვალ დიკსონი (25, „ჰაზარდი"), რიკარდო გარდნერი (18, „ჰარბორ ვიუ"), სტივენ მალკოლმი (27, „საბა იუნაიტედი" შეცვალა 25 წლის დინ სეველმა, რომელიც „კონსტანტ სპრინგსში" თამაშობს), პიტერ კარჯილი (33, „ჰარბორ ვიუ"), ფითსროი სიმფსონი, თეოდორ უიტმორი (24, „საბა იუნაიტედი"), დეონ ბარტონი, პოლ ჰილი.

საინტერესოა, რომ მასპინძლებმა ვერ მოიპოვეს ვერავითარი უპირატესობა. მართალია, 49-ე წუთზე მცველმა გუდისონმა წააქცია ამერიკელების ყველაზე უფრო სახიფათო თავდამსხმელი ერიკ ვინალდა, რომელმაც გამოიყენა კიდეც პენალტი, მაგრამ სულ ორი წუთის შემდეგ ბარტონმა დაახლოებით თხუთმეტი მეტრიდან ძლიერი დარტყმით აღადგინა წონასწორობა – 1-1. კანადელები იამაიკელებმა ერთხელ დაამარცხეს – 1-0, მეორე შეხვედრა კი ფრედ – 0-0 დაასრულეს. კოსტა-რიკასთან ჯერ სტუმრად წააგეს – 1-3, შინ კი მოიგეს – 1-0, სალვადორთან ჯერ მოიგეს – 1-0, მეორე შეხვედრა კი ფრედ – 0-0 დაასრულეს. ამის შემდეგ „სიმოესის" გუნდს არავითარ შემთხვევაში არ უნდა წაეგო საკუთარ მინდორზე მექსიკელებთან და მიზანსაც მიაღწია – 0-0.

ამგვარად, 10 თამაშიდან იამაიკელებმა მოიგეს 3, 5 ფრედ დაასრულეს და 2 წააგეს, 14 ქულით (მართალია ბურთების ცუდი სხვაობით 7-12) მესამე ადგილზე გავიდნენ მექსიკელებისა და აშშ-ს ნაკრების შემდეგ.

იამაიკელების გასვლამ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში კუნძულზე ნამდვილი ენთუზიაზმი გამოიწვია. ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა პატერსონმა იგი „ქვეყნის სპორტის ისტორიაში ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მოვლენად" გამოაცხადა და თითოეულ ფეხბურთელს მიწის ნაკვეთები დაურიგა. მექსიკელებთან თამაშის მომდევნო დღე მან უქმედ გამოაცხადა.

ახლა იამაიკელები ფინალის „H" ჯგუფში მოხვდნენ არგენტინის, ხორვატიისა და იაპონიის ნაკრებებთან ერთად. მოვუსმინოთ სპეციალისტებს. ხორვატიის ნაკრების მწვრთნელი მიროსლავ ბლაჟევიჩი იამაიკის გუნდს ჩემპიონატზე ყველაზე სუსტად თვლის და უხარია, რომ სწორედ მასთან უხდება შეხვედრა. უფრო თავშეკავებულია არგენტინის ნაკრების მწვრთნელი დანიელ პასარელა: „იამაიკელებმა იციან ფეხბურთის თამაში, შემთხვევით ხომ არა ჰყავთ მწვრთნელი ბრაზილიელი".

რაც შეეხება რენე სიმოესს, მან ჯერ ასეთი განცხადება გააკეთა: „კარგია, რომ ისეთ „სასიკვდილო ჯგუფში" მაინც არ აღმოვჩნდით, როგორიც „D" გახლავთ. ახლა ერთ რამეზე ვფიქრობ – როგორ მოვხვდეთ მსოფლიოს უძლიერეს ნაკრებთა შორის (იგი, გასაგებია, წინასწარ ჯგუფში წარმატებით თამაშს გულისხმობს). საამისოდ მეტისმეტად იღბლიანად უნდა ვითამაშოთ, ყველა მატჩში მოგებისათვის ვიბრძოლოთ." შემდეგში კი ბრაზილიელი, ეტყობა, ძალიან გააღიზიანა იმ ამბავმა, რომ მის ნაკრებს აინუნშიც კი არავინ აგდებს: „ვილაც-ვილაცეები ჩვენ აუტსაიდერებად გვთვლიან. დარწმუნებული იყავით, ყველა მათგანს სირცხვილს ვაჭმევთ. რა თქმა უნდა, ჩვენ არა გვაქვს ისეთი გამოცდილება, როგორიც, ვთქვათ, არგენტინელებსა და ხორვატებს, მაგრამ მონდომება, თამაშის წყურვილი კი გვაქვს". შემდეგ კი სამოესმა აშკარად „შეტოპა". მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი მოთამაშეები ყველაფერს გააკეთებენ, რათა გახდნენ... მსოფლიო ჩემპიონები!

ბიბი თორელი

რუსები – მეცხრეზე, უკრაინელები – მეცხრამეტეზე, ბელარუსები – ორმოცდამეჩვიდმეტეზე, საქართველო – ოთხმოცდამეერთე

საფეხბურთო ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ 1997 წლის შედეგების მიხედვით გამოაქვეყნა ე.წ. ეროვნული ჩემპიონატების რეიტინგი, რომელიც კლუბების სიძლიერის მიხედვით დგება. მოხდა სენსაციური ამბავი – იტალიურმა სერია A-მ ლიდერობა გერმანიის ბუნდესლიგას გადაულოცა. აი, როგორ გამოიყურება მსოფლიოს 20 უძლიერესი საფეხბურთო ლიგის სია:

1. გერმანია	1209	11. პორტუგალია	689
2. იტალია	1181	12. ბელგია	666,5
3. ესპანეთი	1120	13. შოტლანდია	658
4. საფრანგეთი	1015	14. ჩეხეთი	635,5
5. ბრაზილია	977	15. საბერძნეთი	618
6. ინგლისი	976	16. ჩილე	603
7. არგენტინა	905,5	17. თურქეთი	569
8. ჰოლანდია	802	18. უნგრეთი	568
9. რუსეთი	773,5	19. უკრაინა	563,5
10. კოლუმბია	741,5	20. ურუგვაი	546

ყოფილი საბჭოთა კავშირის დანარჩენი რესპუბლიკების საფეხბურთო ლიგების რეიტინგი ასეთია: 57. ბელარუსი, 59. ყაზახეთი, 63. უზბეკეთი, 81. საქართველო, 83. ლიტვა, 84. ლატვია, 89. მოლდოვა, 92. სომხეთი, 101. თურქმენეთი, 102. აზერბაიჯანი, 113. ესტონეთი, 117. ყირგიზეთი, 121. ტაჯიკეთი.

CAF
THE CAF AFRICAN CUP OF NATIONS

აფრიკის ერების თასი – 98

კაფ-ის ეს ტრადიციული ტურნირი, რომელიც 21-ე გახლავთ და ბურკინა ფასოში ტარდება, დღესდღეობით ყველაზე აქტუალურ საფეხბურთო მოვლენადაა ქცეული, რადგან მასში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის 4 ეროვნული გუნდი მონაწილეობს – კამერუნი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ტუნისი და მაროკო (ნიგერია არ მონაწილეობს).

ბურკინა ფასოში 16 აფრიკულმა ნაკრებმა მოიყარა თავი და ისინი ოთხ ჯგუფად არიან დაყოფილნი. შემდეგ ეტაპზე 8 გუნდი ოლიმპიური სისტემით გააგრძელებს ბრძოლას და ტურნირი 28 თებერვალს დასრულდება ფინალური მატჩით. დღემდე კი ბურკინა ფასოში შემდეგი მატჩები ჩატარდა:

A ჯგუფი

ბურკინა ფასო — კამერუნი 0-1
გოლი: ჩამი (20)
გვინეა — ალჟირი 1-0
გოლი: ულარე (61)

B ჯგუფი

კონგო — ტოგო 2-1
გოლი: მბუილუა (57, 73 — ორივე პენალტით), მესემესო (90)
განა — ტუნისი 2-0
გოლი: ნიარკო (12), გარგო (90)

C ჯგუფი

სამხ. აფრიკის რესპუბლიკა — ანგოლა 0-0
კოტ დიუვარი — ნამიბია 4-3
გოლი: ტიეი (2,39), ბაკაიოკო (34), დიაბატი (83) — კოტ დივარიდან შიკუტი (47,73), მანეტი (70) — ნამიბიიდან

D ჯგუფი

მაროკო — ზამბია 1-1
გოლი: ბაჰჯა (37) — მაროკოდან ჩილუმბა (81) — ზამბიიდან
ეგვიპტე — მოზამბიკი გუშინ გვიან ღამით დამთავრდა.


კამერუნელმა ალფონს ჩამმა ტურნირის პირველი და გამარჯვების გოლი გაიტანა

ფეხბურთელის მეტსახელია „ქვირფასი“

ასეთი მეტსახელი ფეხბურთის ისტორიაში, თუ არ ვცდებით, არავის რქმევია. ყველა იცნობს „მეფეს“, „კაიზერს“, „პლატინისიმოს“, „გოლსტერს“, გნებავთ „მხეცს“, მაგრამ „ქვირფასს“ მხოლოდ საფრანგეთში თუ დაარქმევდნენ...

ეს „ქვირფასი“ გახლავთ გამოჩენილი ფრანგი ოსტატი იური ჯორკაეფი, რომელზე ც სამშობლოს ფარგლებს გარდა, ბევრს ლაპარაკობენ იტალიასა და... ყალმუხეთში, სომხეთსა და... პოლონეთში. საქმე ის არის, რომ, თუმცა თვით იური ჯორკაეფი თავს ნამდვილ ფრანგად თვლის, მამამისი ჟანი ნახევრად ყალმუხია და ნახევრად პოლონელი, დედა — სომეხი. თვით იურის არც ყალმუხეთი უნახავს ოდესმე და არც სომხეთი, ასე განსაჯეთ, არც პოლონეთი, თუმცა ამის შესაძლებლობა მოგვიანებით აუცილებლად მიეცემა.

ვნახოთ, რას ლაპარაკობს იური ჯორკაეფი საკუთარ თავსა თუ სხვადასხვა საფეხბურთო პრობლემაზე. იგი საზღვარგარეთის სხვადასხვა გაზეთის კორესპონდენტებს უპასუხებს.

— სადღა არა მყავს ნათესავები, ეს ჩემი კოლორიტული ეროვნების გამოა: დიდი ოჯახი, ორმოცდაათზე მეტი ნათესავი მთელ მსოფლიოშია გაფანტული. ორი ბავშვი მყავს.

● **თქვენი მრავალრიცხოვანი კოლეგებისაგან განსხვავებით, რომლებსაც წყნარ გარეუბანში უყვართ ცხოვრება, თქვენ ბინა მილანის ცენტრში ამოირჩიეთ. რატომ?**

— იმიტომ, რომ ფეხით გასეირნება მიყვარს, ადამიანებთან ხელის ჩამორთმევა, მუზეუმებსა და მაღაზიებში შესვლა. ძალიან მიყვარს პატარა მაღაზიები ანტიკვარული საქონლით.

● **რომელმა მუზეუმმა დასტოვა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?**

— ლუვრმა და მეტროპოლიტენ-მუზეუმმა ნიუ-იორკში.

● **როგორ არის საქმე საფრანგეთის ნაკრებში?**

— ყველაფერი წესრიგშია. ემე ჟაკე დიდ სელექციურ მუშაობას ეწევა. ისე რომ, მსოფლიო ჩემპიონატს კარგად მომზადებულები შევხვდებით. რაც შემეხება მე, მაქსიმალისტი ვარ: მინდა იტალიის ჩემპიონიც გავხდე და მსოფლიო ჩემპიონიც.

● **თქვენ მოსკოვში მსოფლიოს ნაკრებშიც ითამაშეთ.**

— მსოფლიოს ნაკრებში მიწვევა თითოეული მოთამაშისათვის დიდი პატივია. დიდი მადლობელი ვარ რობსონისა და მილუტინოვიჩისა, რომლებმაც ისეთ ვარსკვლავებთან ერთად თამაშის უფლება მომცეს, როგორიც არიან სუბისარეტა, პაპენი, მათეუსი, ხოლო რაც შეეხება იმას, რომ რუსეთის ნაკრებთან მატჩში ანგარიშიც გავხსენი, ეს იმას ნიშნავს, რომ მატჩი სამუდამოდ დამამახსოვრდება. ისე კი, ბავშვობიდან ვოცნებობდი იმაზე, რომ ოდესმე მსოფლიო ჩემპიონი გავმხდარიყავი. 7 წლისა ვიყავი, როცა მასწავლებელმა სკოლაში ბავშვებს ასეთი შეკითხვა მოგვცა: ვინ გინდათ გახდეთ, როცა გაიზრდებით? ზოგმა უპასუხა: ასტრონავტი, ადვოკატი, ექიმი. მე კი: „მსოფლიო ჩემპიონი ფეხბურთში“. მასწავლებელს ეწყინა, იფიქრა, რომ დავცინოდი და დამსაჯა კიდეც.

● **ახლა, ახლოსა ხართ ამ ოცნების განსახორციელებლად?**

— შესაძლებლობა მაქვს.

● **გჯერათ, რომ საფრანგეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდება?**

— მე ასე ვიტყოდი: უნდა მჯეროდეს, ურწმენოდ დიდი გამარჯვებების მოპოვება შეუძლებელია.

● **ის, რომ ჩემპიონატი საფრანგეთში ჩატარდება, გიმტკიცებთ კიდეც ამ რწმენას?**

— რა თქმა უნდა. ტყუილად როდი ლაპარაკობენ შინაური კედლების შესახებ.

● **ოთხთა ტურნირში რომ არ გიშველათ?**

— ამას დიდ მნიშვნელობას ნუ მივანიჭებთ. მართალია, თავი არაფრით გამოგვიჩენია, მაგრამ ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. დეე, სხვებმა თვით ილაპარაკონ, მაგრამ მე სრულიად გადაღლილი ვიყავი იტალიის ჩემპიონატი ის-ის იყო დამთავრდა. თუმცა მარტო მე კი არა, ნაკრების კიდევ რამდენიმე მოთამაშე ხომ ასევე იტალიის კლუბებში თამაშობს.

● **დიახ, მაგრამ იტალიის ნაკრების მოთამაშეები ხომ უკეთეს დღეში არა ყოფილან.**

— არც მათ უთამაშიათ ჩვენზე უკეთესად: მესამე ადგილი ბურთების უკეთესი სხვაობის გამო ერგოთ (ფრანგები ბოლო, მეოთხე ადგილზე გავიდნენ).

● **სულ უფრო და უფრო მეტი ფრანგი თამაშობს იტალიურ კლუბებში. ეს რა, ახალი მოდაა?**

— მე „ინტერში“ ვთამაშობ, ზიდანი — „იუვენტუსში“, ბრავო და ტიურამი — „პარმაში“. იტალიაში მოდაში იმიტომ ვართ, რომ სხვა უცხოელებზე უფრო იოლად გავდივართ ადაპტაციას იტალიის პირველობაზე. ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც და ფიზიკურითაც.

● **ისე, ხომ შეგვიძლია ახალ პლატინიზე ვილაპარაკოთ?**

— ხშირად მისვამენ ასეთ კითხვას. მე თუ მგულისხმობთ, მაშინ გეშლებათ. აი ზიდანი კი, როგორც მეჩვენება, გარეგნულადაც კი ჰგავს მიშელს.

● **იმიტომ გახდით ფეხბურთელი, რომ მამათქვენიც თამაშობდა ფეხბურთს?**

— მამაჩემიც ხშირად ლაპარაკობს სისხლის ყივილის შესახებ. იგი დიდი ფეხბურთელი იყო, მე მასზე ყოველთვის ვფიქრობ, როგორც მაესტროზე. მან საფრანგეთის ნაკრებში 48 მატჩი ითამაშა.

● **დიახ, მაგრამ თქვენც ხომ კარგა ხანია ახალბედა არა ხართ...**

— მეტსაც ვიტყოდი: მეც ასევე დიდი ფეხბურთელი ვარ. მაგრამ მამაჩემი იყო და ახლაც რჩება ჩემს მთავარ მწვრთნელად (უახლესი ცნობა: ჟან ჯორკაეფს ოფიციალურად შესთავაზეს სომხეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი — *რედ.*). ჩემი უმცროსი ძმა, 21 წლის მიშაც კარგი ფეხბურთელია.

ერთი სიტყვით, შთამომავლობით ფეხბურთელ იური ჯორკაეფს ასეთი მნიშვნელოვანი ამოცანები არასდროს დაუსახავს, როგორც ახლა: „სკუდეტო“ იტალიის ჩემპიონატში, ოქრო — მსოფლიო პირველობაზე. ერთიც უზარმაზარი პრობლემაა და მეორეც, თუმცა, ისე, ერთიც მისაღწევია და მეორეც. ვნახოთ, დიდი ცდა აღარ მოგვიხდება.

იური ჯორკაეფი

ორტეგა მარადონას შესახებ

ყველა დიდი ფეხბურთელის სახელს რომელიმე მწვრთნელს უკავშირებენ. ასე, მაგალითად, კემპესს — მენოტის, მარადონას — ბილარდოს. არგენტინული ფეხბურთის ახლანდელი ვარსკვლავი ორტეგა კი პასარელას აღმოჩენად ითვლება.

პასარელამ 17 წლის ორტეგა „რივერ პლეიტში“ მიიწვია. სულ მალე მისი მაღალი აზრი ამ ახალგაზრდა ფეხბურთელზე ნაკრების მაშინდელმა მწვრთნელმა ალფიო ბაზილემაც გაიზიარა.

აი, რა განუცხადა ორტეგამ ჟურნალისტებს:

— მან (ბაზილემ) მნახა ეროვნული ჩემპიონატის მატჩებში და, ჩემი აზრით, იმედიც ჰქონდა, რომ მარადონას შევცვლიდი, თუკი მას სათანადო მზადყოფნა არ ექნებოდა მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის წინ.

● **მარადონა მაინც გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაგრამ თქვენც ხომ წაგიყვანეს, არგენტინული გაზეთები წერდნენ, რომ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ხულიო გრონდონა განიცდიდა ქვეყნის პრეზიდენტ კარლოს მენემის ზეწოლას, რომელიც „რივერ პლეიტის“ გულშემატკივარია.**

— მე გავიგე ამ ისტორიის შესახებ, მაგრამ არა მჯერა მისი. აშშ-ში მსოფლიო ჩემპიონატზე იმიტომ მოვხვდი, რომ ვარჯიშებზე და ამხანაგურ მატჩებში კარგად ვაჩვენე ჩემი შესაძლებლობები. მხოლოდ ის მენანება, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე მარადონასთან ერთად თამაში არ მომიხდა. მე მასთან სასტუმროში ერთ ნომერში მიცხოვრია.

● **რუმინელების წინააღმდეგ დალასში მერვედფინალურ მატჩში თქვენ მარადონას ნაცვლად ითამაშეთ და თუმცა არგენტინელები დამარცხდნენ, თქვენზე დაიწყეს ლაპარაკი, როგორც ახალ მარადონაზე.**

— ისეთი ფეხბურთელი, როგორიც დიეგოა, უკვე აღარასოდეს იქნება. მე კი მინდოდა ისეთივე კარიერა მქონოდა, როგორც მას.

● **ამბობენ, რომ ერთ ფეხბურთელს არ ძალუძს თამაშის ბედის გადაწყვეტა, დიახ, მაგრამ თუკი იგი მარადონაა?**

— მარადონამ მთელი თავისი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე, რომელიც ხანდახან წყდებოდა, მთელ მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ შეუძლია მარტოდმარტომ ააცილოს თავის გუნდს სირცხვილი, ანდა, გრანდიოზული გამარჯვება მოუტანოს. მაგრამ მარადონაც კი ვერაფერს გააწყობდა, უფერულ გუნდში რომ მოხვედრილიყო, გვერდით ხომ 10 კარგი, უფრო ხშირად კი ძალიან კარგი მოთამაშე არა ჰყოლოდა. ისინი ხელს უწყობდნენ მარადონას გამოჩენილი ფეხბურთელის იმიჯი ჰქონოდა. თავის მხრივ მარადონა ეხმარებოდა ამ ფეხბურთელებს თავიანთი ნიჭი და უნარი გამოევლინათ და გულშემატკივრები დიდი გამარჯვებებით გაეხარებინათ.

● **თქვენ ბავშვობაში, ისევე, როგორც სხვა არგენტინელი ბიჭები, დილიდან საღამომდე ბურთს რომ აგორებდით, მარადონას ისევე უყურებდით, როგორც ღმერთს. ალბათ გესიზმრებოდათ კიდეც, რომ მასთან ერთად ერთ გუნდში თამაშობდით.**

— შეიძლება არც დამიჯეროთ, მაგრამ ერთხელ მართლაც ვნახე ასეთი სიზმარი. დილით, როცა სკოლაში მივდიოდი, ამის შესახებ ვუამბე ამხანაგებს. მათ გაიცინეს, არ დამიჯერეს, ეგონათ, ყველაფერი მოვიგონე.

● **სად მოხდა ეს ამბავი?**

— ლედესმაში, პროვინციულ ქალაქში, სადაც დავიბადე, იგი 1600 კილომეტრითაა დაშორებული დედაქალაქიდან.

● **ნაკრებში თქვენ საშუალება გქონდათ მარადონასთან ერთად გევარჯიშათ. ასეთი იღბალი ხომ ათასში ერთს ჰქონდა. ფერნანდო დი ნაპოლი დღემდე იგონებს იმ შორეულ დროს, როცა იგი მარადონასთან ერთად „ნაპოლიში“ ვარჯიშობდა. „არავის არ შეეძლო ისეთი გოლის გატანა, როგორც მარადონას, ისეთი გადაცემების გაკეთება, როგორც მას, — ამბობს ფერნანდო დი ნაპოლი, — ჩვენ ყველანი მისგან ვსწავლობდით, ვიცოდით, რომ ასე არავინ არ ფლობს ბურთს. მე, პირადად, მატჩისათვის განწყობა და ამ მხრივ პარტნიორების მომზადება მარადონასაგან ვისწავლე“.**

— დიახ, მარადონას შეეძლო თამაშის წინ პარტნიორების აღფრთოვანება, საბრძოლველად განწყობა. მე ამაში თვით დავრწმუნდი, როცა აშშ-ში მსოფლიო ჩემპიონატის წინ, არგენტინის ნაკრების მზადების დროს მარადონასთან ერთ ოთახში ვცხოვრობდი. იგი არაფრით უსვამდა ხაზს თავის უპირატესობას, ჩვენ ისე ვიყავით, როგორც თანაბარნი, როგორც ერთი გუნდის ორი მოთამაშე. მარადონა ხედავდა, როგორ ვღელავდი, რაც არ უნდა იყოს, ეს ჩემი პირველი მსოფლიო ჩემპიონატი იყო. ყოველნაირად მეხმარებოდა, მამხნევებდა. მახსოვს, დაწვრილებით მომიყვა, თუ როგორ განიცადა არგენტინის ნაკრებმა ფიასკო 1982 წლის მსოფლიო პირველობაზე ესპანეთში. ეს მისი პირველი გამოსვლა იყო ასეთი დონის შეჯიბრებაზე. მარადონა ამბობდა, რომ მსაჯები, განსაკუთრებით ბრაზილიელებთან და იტალიელებთან შეხვედრების დროს, ხელს უწყობდნენ არგენტინელების მოწინააღმდეგეებს. „ბრაზილიელებთან მეოთხედფინალური შეხვედრისას მინდორი დამატოვებინეს, არდილესს მაისური ჩამოახიეს. ვითომც არაფერი, მსაჯებმა ეს უყურადღებოდ დატოვეს.“ — აღშფოთებას ვერ მალავდა მარადონა, თითქოს ყოველივე ეს გუშინ მომხდარიყო. მე მას ყურადღებით ვუსმენდი და არც მე, არც მარადონას აზრადაც არ მოგვდიოდა, რომ გავიდოდა ცოტა დროც და, ამერიკაში გაცხარებული მსოფლიო ჩემპიონატში მარადონა დისკვალიფიკაციას მიიღებდა და მერვედფინალის გადამწყვეტ მატჩში რუმინელებთან მის ადგილს მე დავიკავებდი.

● **მაშინ კმაყოფილი დარჩით თქვენი თამაშით?**

— ძნელი სათქმელია. მართალია, მატჩის შემდეგ მწვრთნელმაც შემაქო და პარტნიორებმაც. თუმცა რა ყრია ამ შექებაში, თუკი წავაგეთ — 2-3 და შეჯიბრებას გამოვეთიშეთ. დარწმუნებული ვარ, ჩემს მაგივრად იმ დღეს მარადონას რომ ეთამაშა, რუმინელები ვერ მოგვიგებდნენ.

● **როცა ცნობილი გახდა, რომ მარადონა ველარ ითამაშებდა, გუნდს მართლა თავზარი დაეცა?**

— დიახ, ასე იყო. ტრაგედია კიდევ ის იყო, რომ არ გვქონდა დრო, რათა შოკური მდგომარეობიდან გამოვსულიყავით. ჩემპიონატი გრძელდებოდა, რამდენიმე დღის შემდეგ უნდა გვეთამაშა, უკვე უმარადონოდ. ძალიან ვწუხვარ, რომ ასე მოხდა, ჩვენ ხომ აშშ-ში შესანიშნავი გუნდი გვყავდა, ყოველ შემთხვევაში, იმათზე სუსტი არა, ვინც ფინალურ მატჩში მიიღო მონაწილეობა.

სავო მილოშევიჩი კანტონას კვალდაკვალ

აქამდე სავო მილოშევიჩი ცნობილი იყო, როგორც იუგოსლავიის ნაკრებისა და ბირმინგემის „ასტონ ვილას“ შედეგიანი თავდამსხმელი. ახლა უკვე სულ სხვა ამბავზე დაიწყეს ლაპარაკი...

საქმე ის არის, რომ „ასტონ ვილასა“ და „ბლეკბერნის“ ამასწინანდელ მატჩში, რომელსაც ბირმინგემელები უიმედოდ აგებდნენ ანგარიშით 0-5, კარს უკან მჯდომმა გულშემატკივრებმა მილოშევიჩი ისე გააწიწმატეს, რომ იგი ერთ-ერთ მათგანს მიეჭრა და სახეში შეაფურთხა. ამან საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. ბირმინგემის რადიოთი გადაცემულ „გულშემატკივართა ხმაში“ დაახლოებით ასეთი რამ ითქვა: „ჩვენ იმიტომ კი არ ვწევით მთელი კვირის განმავლობაში მძიმე შრომას და შემდეგ ეს თანხა სტადიონის სალაროში შეგვაქვს, რომ კაცი, რომელსაც ჩვენზე ათჯერ მეტი ფული აქვს, რასაც არ იმსახურებს, ასე მოგვექცეს“. დასკვნა ასეთი იყო: „გავაძევოთ გუნდიდან!

● **სავო, რითი ხსნით ასეთ უხამს საქციელს?**

— ეს მოჭარბებული ემოციების გამო მოხდა. ის-ის იყო, კარის აღების ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოვიყენე და გულშემატკივრებმა ჩემი მისამართით რამდენიმე ძალზე უხეში სიტყვა იხმარეს. როცა აგებ, ისედაც გაღიზიანებული ხარ, ამასთან, შეურაცხყოფას გაყენებენ.

● **თქვენ რომ დუაიტ იორკს არ გაეჩერებინეთ, საქმე მარტო შეფურთხებით არ დამთავრდებოდა, ჩხუბის დაწყებასაც აპირებდით.**

— ამის გახსენებაც კი არ მინდა. შევცდი, თანახმა ვარ იმ ახალგაზრდასაც და ყველა ჩვენს „ფანსაც“ საჯაროდ ბოდიში მოვუხადო, თუმცა ესოდენ მკაცრი სასჯელი არ დამიმსახურებია.

● **როდის შეგატყობინეს, რომ „ასტონ ვილას“ დატოვება მოგიხდებათ?**

— ამ ინციდენტიდან ოთხი დღე იყო გასული, როდესაც ვარჯიშზე ჩემთან მოვიდა „ასტონა ვილას“ მწვრთნელი ბრაიან ლიტლი და მითხრა: „მაპატიე, მაგრამ ჩვენ იძულებული ვართ გასაყიდ მოთამაშეთა სიაში შეგიყვანოთ. ეს გულშემატკივრების დაშოშმინების ერთადერთი საშუალებაა.

● **როგორ მოხდა, რომ კლუბის ხელმძღვანელი ჯერ თქვენს დაცვას შეეცადა, შემდეგ კი შეცვალა გადაწყვეტილება?**

— ყველაფერი მესმის, რაიმე პრეტენზია არა მაქვს. რაში სჭირდებათ პრობლემების შექმნა, უფრო ადვილია ჩემი გაწირვა. ამის მიუხედავად, ვაფასებ ლიტლის ცდას დაეჭირა ჩემთვის მხარი. მან ასეთი სიტყვებით მიმართა გულშემატკივრებს: „როცა ჩემს ერთადერთ მოთამაშეს ესხმით თავს, ამით მე მიტევთ. იმიტომ, რომ ამ ფეხბურთელებზე მე ვაგებ პასუხს“. მაგრამ ვერც ლიტლის ავტორიტეტმა, ვერც იმან, რომ იგი გულშემატკივრებს უყვართ, ვერ შეცვალა საქმე. ისე რომ, ყველაფერი ჩემს თავს უნდა დავაბრალო.

● **გულშემატკივრებზე არა ხართ ნაწყენი?**

— გულახდილად უნდა გითხრათ, მათაც მაწყენინეს. იმიტომ, რომ ეს ინგლისში მოთამაშეებისა და გულშემატკივრების კონფლიქტის პირველი შემთხვევა არ გახლავთ. გასქოინს უარესიც გაუკეთებია, მაგრამ მას გუნდიდან არავინ აძევებდა. იმიტომ, რომ იგი თავისიანია, კერპია, მე კი უცხოელი, თანაც სლავი. ჩვენ აქ არ ვუყვარვართ, არაფერს გვაპატიებენ.

● **როგორ უყურებთ თქვენს შემდგომ ბედ-იღბალს?**

— არც ისე ცუდია, რომ გასაყიდი მოთამაშეების სიაში შემიყვანეს. კარგი თავდამსხმელი ვარ, ვიღაცა მიყიდის. თუ ახლა არა, მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ მაინც.

● **იმედი გაქვთ, რომ იქ იუგოსლავიის ნაკრები წარმატებით გამოვა, თქვენ კი ყურადღებას მიიქცევთ?**

— ვფიქრობ, კარგი შესაძლებლობები გვაქვს. ყოველ შემთხვევაში, წინასწარი ჯგუფიდან აუცილებლად გავაგრძელებთ გზას. წილისყრისას ბედი გვწყალობდა. არც ერთ სხვა ჯგუფში არ არის ასეთი მკვეთრი განსხვავება: ორი აშკარა ფავორიტია და ორი აუტსაიდერი. ამავე დროს არ ვიზიარებ იმ იუგოსლავიელების შეშფოთებას იმის გაგებისას, რომ გერმანელები ჩვენი მეტოქეები იქნებიან. ეს ხომ ჯგუფურ ტურნირში ხდება. დეე, თუნდაც მეორე ადგილზე გამოვიდეთ — ესეც ხომ საკმარისია მეოთხედფინალში გასასვლელად. სამაგიეროდ, უფრო სერიოზულ ეტაპზე, როცა დამარცხებული სტოვებს ასპარეზობას, გერმანელები აღარ შეგვხვდებიან. ეს შეიძლება მხოლოდ ფინალურ მატჩში მოხდეს.

● **იმედი გაქვთ, რომ ფინალამდე მიხვალთ?**

— რატომ არა — ჩვენ ძლიერი ნაკრები გვყავს, რომელსაც, ამასთან ერთად, გამარჯვებები მოსწყურდა. რამდენი წელია მოკლებული ვიყავით ასეთი დონის შეჯიბრებაში მონაწილეობის საშუალებას. ახლა კი შევეცდებით რევანში ავიღოთ.

რა ხდება ქვეყანაზე

ვისი შამპანურია უფრო იაფი?

60-იან წლებში ეწყობოდა ავტორბოლა „ლე-მანის" 24 საათი". პრიზიორთა დაჯილდოების ცერემონიალის წინ მომხდარა ისე, რომ სიცხეს შამპანურის ბოთლის საცობი ამოუგდია და შუშხუნა ღვინის ჭავლს ამოუსხამს. დამსწრეები ამით როდი შეცბუნებულან, მათ კიდეც მოსწონებიათ შეშხაპუნების პროცედურა. შამპანურით გამარჯვებულთა დაწუწვის ტრადიცია იქიდან მოდის, მაგრამ წლეულს ისე ჩანს, ნაცნობეთიკეტიან უზარმაზარ შუშხუნანექტარიან ბოთლებს ვერც პილოტები ნახავენ და ველარც მრავალრიცხოვანი ქომაგები. „მოიოტ ჩანდონს"-ის მარკის შამპანური, ბოლო წლებში რომ ასე უხვად ილვრებოდა „ფორმულა-1"-ის „გრან-პრის" გამარჯვებულთა საზეიმო პოდიუმზე, ეტყობა, დამშრალა...

„მოიოტის" მწარმოებელი ფირმის ახალმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა აღარ იყოს მისი უდიდებულესობა „ფორმულა-1"-ის მომწოდებელთა შორის; როგორც ჩანს, მიზეზი ფინანსურია. იმისათვის, რომ „მოიოტის" რეკლამა ყველა კონტინენტის უამრავ მაყურებელს თვალწინ ჰქონოდა, კომპანია-მწარმოებელი ბერნი ეკლსტოუნს, ანუ „ფ-1"-ის ხელმძღვანელობას ორ მილიონ დოლარზე მეტს უხდიდა. ასეთი გახლავთ რეკლამის ფასი.

ახლა ბერნი ეკლსტოუნი და მისი თანაშემწენი ახალ მომწოდებლებს ეძებენ. ამბობენ, რომ „მოიოტს" კონკურენტი „რომასი" შეცვლის.

უსულგულო მამილო

სპორტული ტანვარჯიშის ისტორიაში თუ ოციოდე წლით უკან დაიხევთ, 1978-79 წლებში მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონს კურტ ტომასს შეხვდებით. ამჟამად 41 წლის ექს-ჩემპიონი ტეხასში დაფუძნდა, ქალაქ პლანოში, სადაც საკუთარი სატანვარჯიშო სკოლა გახსნა. მალე იქ, ტეხასში უსულგულო მამის დაპატიმრების დადგენილების ასლი მიუვა. საქმე ის არის, რომ კურტს 4 წლის ბიჭუნა ჰყავს, რომლის ბედი ისე ჰგავს, მაინცდამაინც არ აწუხებს; ჯერ კიდევ 1995 წელს სასამართლომ დაავალდებულა ექს-ჩემპიონი ბავშვის შესანახად ყოველთვიურად 650 დოლარი გადაიხადოს, მაგრამ მამა მიიმალა და არც უფიქრია ალიმენტის გაგზავნა. ამ მომენტისათვის გვარიანი თანხა შეეწერა – 9000 დოლარი (აქ პრესის ცნობაში ალბათ რაღაც გაუგებრობაა – 1995 წლის შემდეგ ორ წელზე მეტი გავიდა, მარტივი გამოთვლით კი ვრწმუნდებით, რომ კურტ ტომასს დაახლოებით 14 თვის საალიმენტო გადასახადი დაგროვებია – *რედ.*).

სასამართლოში ერთ-ერთ ადვოკატს უთქვამს: „გული მეკუმშება, როცა ვხედავ, როგორ უჭირს გაქცეულის ცოლშვილს. ლამის მე დავდო 9 ათასი მათ დასახმარებლად..."

ასეთ ფედერაციას ძუნწს ვერ უწოდებ

ბურკინა-ფასოში 7 თებერვალს დაიწყო და სამ კვირას გასტანს აფრიკის ერთა თასის გათამაშება; თუ ამ თასის ფინალურ მატჩში კონტინენტის ქვეყნის კოტ დივუარის საფეხბურთო ნაკრები გაიმარჯვებს, 22 მოთამაშე 9,7-9,7 მილიონ ცენტრალურაფრიკულ ფრანკს მიიღებს – ასე განუცხადებია აბიჯანში კოტ დივუარის ფეხბურთის ფედერაციას. „ელეფანტები" (როგორც უწოდებენ თურმე თავის მოთამაშეებს ამ ქვეყანაში) თუ შეჯიბრების პირველ წრეს გაივლიან, ყოველი ფეხბურთელის პრემია 1,7 მილიონ ცენტრალურაფრიკულ ფრანკს (რაც 17 ათასი ფრანგული ფრანკის ტოლფასია) შეადგენს. გაივლიან მეორე წრესაც – გასამრჯელო შესაბამისად 4 მილიონი ფრანკი გახდება.

ესეც არ არის ყველაფერი; ხომ შეიძლება პირველივე წრეში წაიფორხილონ! ფეხბურთის ფედერაციამ ასეთი ვარიანტიც გაითვალისწინა; ტურნირის დაწყებამდე ნაკრების 14-ვე პროფესიული მოთამაშეს გადაეცემა 6,5-6,5 მილიონი ისევ და ისევ აფრიკული ფრანკი, ხოლო 8 მოყვარული მოთამაშე 3,25-3,25 მილიონი ფრანკით დაკმაყოფილდება...

ენის უცოდინარობა?..

შარშან, ოქტომბერში, მოყვარულთა შორის მსოფლიო პირველობაზე, 19 წლის უზბეკმა მოკრივემ რუშან შაგაევმა 91-კილოგრამიანი წონითი კატეგორიის ფინალურ ბრძოლაში ყველასათვის მოულოდნელად დაამარცხა ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი, ორი ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი, კუბელი ფელიქს სავონი; მაგრამ გავიდა ორიოდე თვე და ამერიკულმა ჟურნალმა „ფლეშმა" გამოაქვეყნა სენსაციური მასალა, თითქოს 1996 წლის აგვისტოსა და სექტემბერში, აშშ-ში რუშანმა ორი მატჩი გამართა პროფესიულ რინგზე, რაც საერთაშორისო კრივის ფედერაციის (აიბა) წესდებით აკრძალულია. ჟურნალის პუბლიკაციის საპასუხოდ, აიბას გენერალურ მდივანს განუცხადებია, რომ თუ უზბეკეთის კრივის ფედერაცია ოფიციალურ ახსნა-განმარტებას არ წარმოადგენს, შაგაევი დისკვალიფიცირებული იქნება და მისი მედალი სავონს გადაეცემა; ასეც მოხდა – აიბამ თავისი იურიდიული კომისიის სხდომის შემდეგ გადაწყვიტა უზბეკ მოკრივეს ჩამოართვას მსოფლიო ჩემპიონის ტიტული და „ოქროსთან" ერთად კუბელ მოკრივეს მიაკუთვნოს.

ტაშკენტის მობოდიშება – ინგლისური ენა ცუდად ვიცით და ვერ შევძელით წესების სწორად წაკითხვაო, აიბამ მიუღებლად მიიჩნია.

რა ხდება ქვეყანაზე

დოპინგი

ათლეტები არ დაუსჯიათ

ერთბაშად სამ გერმანელ მსოფლიო ჩემპიონზე გაჩნდა ეჭვი – აკრძალულ პრეპარატებს ხმარობენო. ესენი არიან ასტრიდ კუმბერნუსი (ბირთვის კვრა), ჰაინც ვაისი (უროს ტყორცნა) და ლარს რიდლი (ბადროს ტყორცნა). მას შემდეგ, რაც სპორტსმენებს ჩრდილი მიადგათ, სამივემ ერთობლივი წერილით მიმართა გაზეთ „ფრანკფურტ ალგემაინე ცაიტუნგს" (გამოქვეყნდა შარშან ნოემბერში), ჩემპიონები ხელაღებით უარყოფენ ბრალდებას და დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, რომ „ყოველთვის მხარს უჭერდნენ გერმანიის მძლეოსნობის ფედერაციის ძალისხმევას სტიმულატორებით ყოველგვარი მანიპულაციების წინააღმდეგ".

დარმშტადტში შემდგარ სხდომაზე ფედერაციის პრეზიდიუმმა გადაწყვიტა უარეყო წინადადება სამი ჩემპიონისთვის სასჯელის გამოტანის შესახებ.

ვარსკვლავის ფარული

ლუგანისის „ცისფერი ბიოგრაფია"

სპორტულ თანამეგობრობაში დიდი ფურორი გამოიწვია წყალში ხტომაში მსოფლიო ჩემპიონის გრეგ ლუგანისის განცხადებამ თავისი მძიმე ავადმყოფობის შესახებ. ახლა, როდესაც ამ ამბის შემდეგ გავიდა ორი წელიწადი და გახმაურდა, რომ სპორტსმენი შიდსითაა დაავადებული, შეიძლება უფრო ვრცლად მოგითხროთ მისი ისტორიის შესახებ.

1996 წლის გაზაფხულზე ლუგანისმა მონაწილეობა მიიღო ერთ-ერთ ტელეშოუში, სადაც მოაწყო თავისი ავტობიოგრაფიული წიგნის პრეზენტაცია, მან ასეთი სიტყვებით მიმართა

წიგნის თანაავტორს ერიკ მარკუსს: „გახსოვს, მოგიყევი ჩემს ყოფილ საყვარელზე. იგი შიდსისაგან დაიღუპა... მეც ეს საშინელი სენი მჭირს".

ის, რომ ლუგანისი ჰომოსექსუალისტი იყო, ყველამ იცოდა, მაგრამ ავად რომ იყო, სულ რამდენიმე ადამიანმა უწყოდა. ანალიზებმა დადებითი შედეგი მხოლოდ 1988 წლის სეულის ოლიმპიადამდე ექვსი თვით ადრე გამოააშკარავა ყველაფერი.

1994-ში ლუგანისმა მონაწილეობა მიიღო ჰომოსექსუალისტთა ალტერნატიულ ოლიმპიურ თამაშებში, რომელიც ნიუ-იორკში გაიმართა. სწორედ აქ განაცხადა ოფიციალურად, რომ ჰომოსექსუალისტია.

ლუგანისის ნამდვილი მამა პოლინეზიელი იყო, ამით აიხსენბა მისი კანის ფერი, რის გამოც ხშირად წამოაძახებდნენ ხოლმე „შე ზანგო"..." ერთი წლის არ იყო, როდესაც დაობლდა და იგი სანდიეგოელმა წყვილმა იშვილა. მამინაცვალი ბევრს სვამდა და ხშირად სცემდა გრეგს. ტრამპლინიდან ხტომას ბიჭუნა ცხრა წლისა მიეძალა და იმთავითვე მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება.

1976 წლის მონრეალის ოლიმპიურ თამაშებზე ლუგანისმა ვერცხლის მედალი მოიპოვა, მაგრამ ამის შემდეგ, რომ იტყვიან, დეპრესია დაეწყო და ნარკოტიკებს გაუშინაურდა, ერთხელ კინაღამ თვითმკვლელობაც ჩაიდინა. ლუგანისმა მწვრთნელი გამოიცვალა და 1984 წლის ლოს-ანჯელესის ოლიმპიადამდე სრულად აღიდგინა სპორტული ფორმა.

უსიამოვნო ამბები ლუგანისს სეულის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე შეემთხვა. მან იპოვნა საყვარელი, რომელიც მენეჯერად გაიხადა. საყვარელი დიდი გაიძვერა გამოდგა – სპორტსმენს მრავალი ათასი დოლარი მოჰპარა და დაიწყო მისი შანტაჟირება. შემდგომში ლუგანისმა შეიტყო, რომ საყვარელი შიდსით იყო ავად და გადაწყვიტა ანალიზების ჩაბარება. მალე პასუხიც შეიტყო – იგი შიდსითაა დაავადებული. ამის შესახებ მწვრთნელმაც იცოდა, მაგრამ არავისთვის უთქვამს, ეშინოდა სპორტსმენს დისკვალიფიკაციას მისცემენო.

რაც შემდგომში მოხდა ზევით უკვე ითქვა.

მასალა მოამზადა
„ლელოს" საერთაშორისო
განყოფილებამ

„სპორტლოტოს" შედეგები

8 თებერვალს გაიმართა ლატარია „სპორტლოტო 5-36"-დან გათამაშების 06 ტირაჟი, დაშვებული იყო 5424 ვარიანტი. მოგებახვედრილი ციფრები:

13, 2, 32, 25, 23.

5 ციფრი ვერავინ ამოიცნო. 4 ციფრის ამოცნობისათვის (2 ვარიანტი) — 101.70 ლარი. 3 ციფრის ამოცნობისათვის (42 ვარიანტი) — 6.40 ლარი. მოგებები განაღდდება 11 თებერვლიდან 11 მარტის ჩათვლით.

07 ტირაჟისათვის, რომელიც გაიმართება 15 თებერვალს, „ჯეკპოტი" შეადგენს 7298 ლარს, ამასთან, გამარჯვებულს ელოდება გერმანიაში მოგზაურობა.

გიწვევთ ტრადიციული სპორტული ლატარიების გათამაშებაში.

წარმატება მხოლოდ თქვენს არჩევანზეა დამოკიდებული.

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

16

39

12



თარაზულად: 1. წარსულში გამოჩენილი ჩეხი ჩოგბურთელი, 3. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 5. ლეგენდარული ბელგიელი ველომრბოლი, 8. ქართველი ჩოგბურთელი ქალი, 11. „ვალენსიას" არგენტინელი ფეხბურთელი, 12. საქართველოს საფეხბურთო ნაკრების მცველი, 14. სატანვარჯიშო იარაღი, 15. „პარმას" მცველი *(ფოტო)*, 17. მანათრბენი, 20. „რეალის" ფეხბურთელი, 22. ნიგერიელი ფეხბურთელი, ატლანტის ოლიმპიური ჩემპიონი, 25-26. ქართველი დიდოსტატი, 26. „ესპანიოლის" თავდამსხმელი, 27. მაროკოელი მორბენალი, ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის ჩემპიონი, 29. შვედი ჩოგბურთელი *(ფოტო)*, 30. ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 32. რუსი მოკრივე ტოკიოს და მეხიკოს ოლიმპიადების ჩემპიონი, 33. ჰოკეის სამშობლო, 35. წმინდა გამარჯვება ძიუდოში, 36. სპორტული საბრძოლო იარაღი, 39. ჭადრაკის ფიგურა, 41. „დერბი ქაუნთის" ნახევარმცველი, 43. ქართველი მოჭადრაკე ქალი, 44. ეთიოპიელი სტაიერი, მოსკოვის ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონი.

შვეულად: 1. „რეალის" და ესპანეთის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მცველი, 2. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 3. „ინტერის" ჩილელი ფეხბურთელი, 4. „აიაქსის" ქართველი ფეხბურთელი, 5. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 6. ძველებური ქართული გუნდური შეჯიბრება ცხენოსნობაში, 9-36. ქართველი სპორტსმენი ქალი, სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი, 12. გერმანელი ჩოგბურთელი *(ფოტო)*, 13. ფრანგი ფეხბურთელი, 1984 წლის ევროპის ჩემპიონი, 16. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის, 18. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 19. სპორტის სახეობა, 20. ქართველი მოჭიდავე, მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი, 23. ფორმულა-1-ის ფრანგი პილოტი, 24. კენიელი მძლეოსანი, მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი, 26. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 28. ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 29. კანადელი სპრინტერი, ატლანტის ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონი, 31. რუსი მოჭიდავე, მიუნხენის და მონრეალის ოლიმპიადების ჩემპიონი, 32. 1986 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ბომბარდირი, 33. კიევის „დინამოს" ქართველი ლეგიონერი, 34. 80-90-იანი წლების ბრაზილიელი ფეხბურთელი, ნახევარმცველი, 36. ავსტრიის საფეხბურთო კლუბი, 37. ინდოელი დიდოსტატი.

დიაგონალურად: 11-2. ამერიკელი ბადროს მტყორცნელი, ოთხი ოლიმპიადის ჩემპიონი, 7-21. სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი დისციპლინა, 22-10. გამოჩენილი რუსი სპორტული კომენტატორი, 5-15. ამერიკელი მძლეოსანი, მონრეალის ოლიმპიადის ჩემპიონი, 38-28. ლიტვის საკალათბურთო კლუბი, 33-42. იტალიელი ფორვარდი, 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 29-40. ცნობილი არგენტინელი საფეხბურთო მწვრთნელი, 44-37. ქვეყანა, რომელმაც ორჯერ უმასპინძლა მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატს.

შეადგინა ბიძინა წირქვაძემ (თბილისი)

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 5. ბიკილა, 6. ტოლსტაი, 10. ოლისე, 11. ტომბა, 12. ბილარდო, 15. „ოლენს", 16. ერანიო, 17. ლიმსი, 18. გოლფი, 21. პოპოვი, 23. ანანდი, 27. ზასლერი, 29. ონილი, 30. ხლუსი, 31. ანდორა, 32. სფორცა. **შვეულად:** 1. პირსი, 2. „ალანია", 3. კორიდა, 4. კანოე, 7. ბლინდი, 8. აგასი, 9. „იბერია", 13. ესპოზიტო, 14. ბროლინი, 19. ვოლანი, 20. ადამსი, 22. მელია, 24. ზამირი, 25. კრუიფი, 26. ბლანი, 28. ბლიცი.

საჭადრაკო ამოცანა

რ. მარცვალაშვილი (ჩარგალი)



შამათი 6 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ეh1! — ცუგცვანგი,
1. ...d3 2. მg1! მფ — 3. მf3+,
1. ...de 2. კg1! მფ — 3. კ:e3+ და
1... dc 2. კe1+ მფd1 3. კ:c3+
(2... მფ:e3 3. ეh3+).

სარედაქციო კოლეგია

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხომონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდაშონ